სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 10 ნოემბერი 2005 №259 (2582) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

FRANCE Football

ოქროს ბურთის ოქროს იუბილე

„სარბიელის“ ტრადიციული ევროხუთეულით

საფეხბურთო სამყაროში ევროიუბილეა: პოპულარული ფრანგული ჟურნალის, „ფრანს ფუტბოლის“ გამოკითხვას, ყოველი წლის ბოლოს „ბებერი კონტინენტის“ საუკეთესო მოთამაშეს რომ გვისახელებს, 50 წელი შეუსრულდა. ამ თარიღთან დაკავშირებით, „ფრანს ფუტბოლს“ 28 ნოემბერს პარიზში დიდი ზეიმი აქვს დაგეგმილი, რომელშიც „ოქროს ბურთის“ ადრინდელი ლაურეატებიც მიიღებენ მონაწილეობას . მიწვეულია ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერიც. პროგრამის თანახმად, გალა ვახშამს წინ სატელევიზიო შოუ და 2005 წლის საუკეთესოს დაჯილდოების ცერემონიალი წარუძღვება.

ხოლო ყოველწლიურ ლაურეატს, მოგეხსენებათ, ევროპული მას მედია ასახელებს. საქართველოდან **ballon d'or**-ის გამოკითხვაში 1994 წლის შემდეგ „სარბიელი“ მონაწილეობს, რომლის საუკეთესო ხუთეულის წლევანდელი ვერსია ასეთია:

სტივენ ჯერარდი (ინგლისი, „ლივერპული“)
პაოლო მალდინი (იტალია, „მილანი“)
რონალდინიო (ბრაზილია, „ბარსელონა“)
ფრენკ ლამპარდი (ინგლისი, „ჩელსი“)
ანდრეი შევჩენკო (უკრაინა, „მილანი“)

ხვალინდელ „სარბიელში“

თქვენი ინტერვიუ

ნოდარ ახალკაცთან

ნაკრების -5: ასათიანი

საქართველოს ნაკრებს ბულგარეთთან და იორდანიასთან მატჩებისთვის კიდევ ერთი ფეხბურთელი დააკლდა — მალხაზ ასათიანს მოსკოვის „ლოკომოტივი“ ვერ შეელია. საქმე ისაა, რომ მოსკოველებს 19 ნოემბერს ჩემპიონატის ბოლო, გადამწყვეტი მატჩი ელით თანაქალაქელ „სპარტაკთან“ და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასაც სთხოვეს, იქნებ, ფეხბურთელი არ გამოგვაკლოთო.

შეგახსენებთ, რომ ასათიანამდე ნაკრებს გოგა გახოკიძე, ლევან ცქიტიშვილი, გიორგი ქინქლაძე და ზურაბ მენთეშაშვილი ტრავმების გამო გამოაკლდნენ.

ნეტავ, ვინ გაათამაშებს ბურთს?

ეროვნულ გუნდს ასათიანიც დააკლდა

საქართველოს ნაკრები ბულგარეთთან შაბათის ამხანაგური მატჩისთვის გამთამაშებლის გარეშე დარჩა. გუშინ გაირკვა, რომ შეკრებაზე, რომელიც ეროვნულმა გუნდმა გუშინწინ დაიწყო, ვერ ჩამოვა მოსკოვის „ლოკომოტივის" ფეხბურთელი მალხაზ ასათიანი. მისი ჩამოუსვლელობის ზუსტი მიზეზი უცნობია, თუმც, როგორც შევიტყვეთ, „ლოკომოტივმა" ნაკრებიდან ასათიანის გათავისუფლების თაობაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ორიოდ დღის წინ მიმართა. საქმე ისაა, რომ 19 ნოემბერს „ლოკომოტივს" რუსეთის პრემიერლიგის ბოლო და უმნიშვნელოვანესი მატჩი ელის მოსკოვის „სპარტაკთან". ამ თამაშის შედეგზეა დამოკიდებული, „ლოკომოტივი" გაისად ითამაშებს თუ არა ჩემპიონთა ლიგაში, ხოლო როგორ ფასობს ასათიანი მისი გუნდისთვის, ვფიქრობთ, კარგად მოგეხსენებათ.

გამოძახებულთაგან ნაკრებს დააკლდება რიგის „სკონტოს" ნახევარმცველი ზურაბ მენთეშაშვილიც, რომელსაც კუნთი აწუხებს და თამაში არ შეუძლია. გიორგი ქინქლაძის, ლევან ცქიტიშვილისა და გოგა გახოკიძის ჩამოუსვლელობის ამბავი კი შეკრების დაწყებისთანავე გადაწყვეტილი იყო.

ამ ხუთი ფეხბურთელის სანაცვლოდ ნაკრების მწვრთნელმა გაიოზ დასაძემ „ზესტაფონის" კაპიტანს კახა ჩხეტიანს უხმო და დარჩენილ ოც ფეხბურთელთან ერთად გუშინ ისიც ავარჯიშა.

სხვა სიახლე ეროვნულ გუნდში ჯერჯერობით არაფერია. დღეს ნაკრების ბაზაზე გაიოზ დარსაძის პრესკონფერენციაა დაგეგმილი და დანარჩენსაც ალბათ ის იტყვის. გუშინ კი მწვრთნელმა შეგირდები შეკრებიდან გაათავისუფლა და მათ დღეს ნაშუადღევს ელის.

კობა ინასარიძე

გაიოზ დარსაძე

ბადრი კეთილაძის ფოტო

KINGKLADZE

სიტის დიადი ქართველი

ინგლისური „მანჩესტერ სიტის" ვებგვერდზე მიმდინარე გამოკითხვაში ქართველი გიორგი ქინქლაძე ლიდერობს. შეგახსენებთ, რომ ქომაგები „სიტის" ისტორიაში ყველაზე დიდი ფეხბურთელის გამოსავლენად ატარებენ ამ გამოკითხვას.

დღემდე მანჩესტერელთა ოფიციალურ ვებგვერდს ორი ათასზე მეტი გულშემატკივარი ესტუმრა და თავისი რჩეული დაასახელა. შედეგად, ქინქლაძემ 866 ხმა დააგროვა და 16 ხმით უსწრებს ლეგენდარულ კოლინ ბელს.

გეხსომებათ, გიორგი „სიტიში" 1995-96 წლებში თამაშობდა და ამ მცირე ხანშიც კი ისე შეაყვარა თავი გულშემატკივრებს, რომ დღემდე ვერ ივიწყებენ.

აქვე გამოკითხვის მიმდინარე შედეგები: გიორგი ქინქლაძე (866 ხმა), კოლინ ბელი (850), ბერტ ტრაუტმანი (111), ფრენსის ლი (70), პოლ ლეიკი (45), დენის ტუორტი (39), პეტერ დოჰერტი (37), ფრენკ სვიფტი (34), ბილი მერედიტი (26), როი კლარკი (9).

კახა შალამბერიძე

ზესტაფონს კვლავ მახარაძე გაწვრთნის

ფერიელები ძველ დროს უბრუნდებიან

ეროვნული ჩემპიონატის წინა ტურში „ბათუმი" „ზესტაფონს" მასპინძლობდა და ხმა გავრცელდა, თუ „ზესტაფონმა" წააგო, კლუბში მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებები განხორციელდება, მთავარი მწვრთნელი კობა ჟორჟიკაშვილი აღარ იქნება და, ან თემურ მახარაძე დაბრუნდება, ან სხვას მიიწვევენო.

ბათუმში მატჩი 2:2 დამთავრდა, „ზესტაფონმა" კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მერე კი თასის მერვედფინალში თბილისის „სპარტაკს" სტუმრად 4:0 მოუგო და თუ რა მოხდება ამის მერე გუნდში, „ზესტაფონის" პრესატაშეს, სერგო ფუტკარაძეს ვკითხეთ:

— „ზესტაფონის" მთავარ მწვრთნელად თემურ მახარაძე ბრუნდება და ის გაიყვანს გუნდს მომდევნო მატჩში, ჩემპიონატის მეცამეტე ტურში შინ ფოთის „კოლხეთთან", ჟორჟიკაშვილი კი „ზესტაფონის" სარეზერვო გუნდს დაუბრუნდება. მახარაძე „ზესტაფონიდან" არც წასულა, იგი უბრალოდ შვებულებაში იყო, „ზესტაფონში" ისევ კონტრაქტით მუშაობს — გვითხრა ფუტკარაძემ.

ფოტო ალექსანდრე ალექსიძის

თემურ მახარაძე

ლუკა თალაკვაძე

მენეჯერის ზარი

დავით სირაძე კოჭმა არ ათამაშა

თბილისის „ლოკომოტივის" ლიდერმა დავით სირაძემ „ცხინვალთან" საჩემპიონატო და „სოხუმთან" სათასო მატჩები გამოტოვა. ცხადია, მიზეზით დავინტერესდით და, როგორც აღმოჩნდა, დათოს მცირე ტრავმა ჰქონია.

„კოჭი მაწუხებს, „დინამოსთან" მატჩისას ოოტა გამირთულდა, თუმცა სერიოზული არაფერია, ხვალიდან ვარჯიშს დავიწყებ, ხოლო როდის ვითამაშებ, ზუსტად ჯერ არ ვიცი" — გვითხრა გუშინ სირაძემ.

როგორც იცით, სირაძემ „ლოკომოტივში" ჩამოსვლისას თქვა, ზამთარში ისევ რომელიმე გერმანულ კლუბში ვაპირებ წასვლასო. ახლა კი 24 წლის ნახევარმცველი არ ჩქარობს — სეზონის ბოლომდე მაქვს „ლოკომოტივთან" კონტრაქტი და ჯერ გადაწყვეტილი არაა, იქამდე წავალ თუ დავრჩებიო.

სირაძეს ერთი კვირის წინ მენეჯერმა უდო შრიოდერმა დაურეკა და უთხრა, რამდენიმე კლუბზე ვმუშაობო. დათოს თქმით, შესაძლოა, გერმანულის გარდა სხვა ქვეყნის კლუბებზეც იყოს ლაპარაკი...

ილია ნანობაშვილი

ტიმოფეევს საქართველომ მაინც ვერ უშველა

მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში მხოლოდ და მხოლოდ საქართველოსთან ქულის ამღები ყაზახეთის ნაკრები უმთავარმწვრთნელოდაა — სერგეი ტიმოფეევი გაათავისუფლეს.

ამ ინფორმაციას ჩვენთვის რაიმე მნიშვნელობა ეგებ არც აქვს, მაგრამ მაინც საინტერესოა, რომ ყაზახებმა ტიმოფეევს ციკლის ბოლოს გამოსწორებული თამაში არად ჩაუთვალეს და კარისკენ მიუთითეს.

— ბოლო ორი-სამი თამაში კარგად ჩავატარეთ და მესიამოვნა, როცა ამ მატჩების მერე ხალხი მეუბნებოდა, ნაკრებიდან არ წახვიდეო. რეალობა კი სულ სხვაა — განაცხადა ტიმოფეევმა და ქუდი დაიხურა.

კახა შალამბერიძე

ფოტო ალექსანდრე ალექსიძის

სერგეი ტიმოფეევს თბილისური ფრე არაფერში გამოადგა

ინგლისი
ჩემპიონატი
გადადებული მატჩი
უენსდი 1:3 კარდიფი

ბელგია
იუპილერლიგა
გადადებული მატჩი
ლოკერენი 1:0 ლიერსი

შოტლანდია
ლიგის თასი. 1/4 ფინალი
სელტიკი 2:0 რეინჯერსი

საბერძნეთი
თასის
მერვედფინალი
პანთრაიკოსი 2:2(პენ.5:6) *აპრაჰიტოსი*
ეთნიკოსი (პ) 1:1(პენ.4:2) *კალითეა*
ერგოტელისი 1:0 *პანათინაიკოსი*
ეთნიკოსი (ა) 1:0 *ლევადიაკოსი*
ასტერასი 0:0(პენ.2:3) *კალამარია*

ამხანაგური მატჩი
საფრანგეთი 3:2 *კოსტა რიკა*

პოლონეთი
თასის 1/8 ფინალი
I მატჩები
კუიავიაკი 1:0 *პოგონი*
ამიკა 0:0 *ოდრა*
ლეხი 2:0 *რადომიაკი*
გროცლინი — *ტორუნა* *გადაიდო*

რუსეთი
თასის 1/16 ფინალი
საპასუხო მატჩი
ტორპედო 2:0 *გაზოვიკი* (2:0)

ხორვატია
თასის 1/4 ფინალი
I მატჩები
სლავენი 1:0 *კამენი*
ვინოგრადარი 1:2 *რიეკა*

უნგრეთი
თასის 1/8 ფინალი
საპასუხო მატჩები
მაკო 0:1 *უიპეშტი* (1:8)
დებრეცენი 2:1 *ტატაბანია* (2:0)
პეჩი 0:1 *შენტლორინცი* (2:0)

ესპანეთი
თასის მეოთხე ეტაპი
ლეიდა 2:4 დ.დ.(2:2) *ხეტაფე*
ბურგოსი 0:2 *კადისი*
ოსპიტალეტი 1:3 *ბილბაო*
ბასა 0:1 დ.დ.(0:0) *სელტა*
ზამორა 1:1 (პენ.3:2) *ეიბარი*

სლოვაკეთი
I ლიგა. XVII ტური
ბანსკა ბისტრიცა 0:2 *რუჟომბეროკი*
ტრენჩინი 1:1 *პეტრჟალკა*

რატომ ემსახურება გიორგი ქინქლაძეს თვითმფრინავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფილი ფეხბურთელი, საქართველოს ჩემპიონატებში 100-ზე მეტი გოლის გამტანი მამუკა ჯუღელი ამჟამად სააგენტო „პროფსპორტის“ წარმომადგენელია საქართველოში. სააგენტო მოსკოვშია, მისი უფროსი კი ახრიკ ცვეიბა გახლავთ. რამდენიმე წელია, ჯუღელი საქართველოდან ძირითადად რუსეთსა და უკრაინაში ფეხბურთელების ტრანსფერების მოგვარებითაა დაკავებული და იგი მალე ფიფას აგენტის ლიცენზიასაც აიღებს.

ჩვენც მამუკა ჯუღელს სატრანსფერო ამბებზე ვესაუბრეთ. ქართველ მოთამაშეებზე ადრე თურმე უფრო დიდი მოთხოვნა იყო და რუსეთსა თუ უკრაინაში ყოველწლიურად ბევრი ფეხბურთელი მიდიოდა, ახლა კი წამსვლელთა ოდენობა საგრძნობლად შემცირებულა...



მამუკა ჯუღელი

მამუკა ჯუღელი: ნაკრებმა საქართველო ჩამოაფასა

— ეროვნული ჩემპიონატის დონემ დაიწია და, შესაბამისად, საქართველოდან ტრანსფერების რაოდენობაც შემცირდა — გვითხრა მამუკა ჯუღელმა — ახლა რუსეთისა და უკრაინის გუნდები, დასავლეთევროპულებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, ქართველ ფეხბურთელს გაუსინჯავად არ აიყვანენ. არადა, 8-10 წლის წინ მხოლოდ ფეხბურთელის თანხმობა იყო საჭირო და მას სარფიანი კონტრაქტი გამზადებული ჰქონდა.

— გინდათ თქვათ, რომ სადღეისოდ საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელი რუსეთისა და უკრაინის დონეს ვერ დააკმაყოფილებს?

— ამას არ ვამბობ, პირიქით, ახლავე ჩამოგითვლით რამდენიმე ფეხბურთელს, რომლებიც დღესვე შეძლებენ ამ ლიგებში თამაშს, მაგრამ...

— მაგრამ რა, უნდობლობის მომენტია?

— უნდობლობა არაფერ შუაშია, უბრალოდ, გაუსინჯავად ქართველ ფეხბურთელებთან კონტრაქტის გაფორმებას ერიდებიან. ამას წინათ მიხეილ კაკალაძის თამაშით დაინტერესებული უკრაინელი და ებრაელი მწვრთნელები იყვნენ ჩამოსულნი, მათ ამ ფეხბურთელის გადაბირება სურდათ, მაგრამ მატჩს დაესწრნენ და გაკვირვებულები დარჩნენ, ისეთი თამაში იყო, ფეხბურთელის შესაძლებლობები მათ ვერ შეაფასეს და, რა თქმა უნდა, ტრანსფერიც გადაიდო. თუმცა, რუსეთში და უკრაინაში არიან მწვრთნელები და კლუბები, რომლებიც ქართველ ფეხბურთელთა ოსტატობაში დარწმუნებულნი არიან და მათ კონტრაქტებსაც პირდაპირ უფორმებენ.

— მაგალითად?

— მოსკოვის „ლოკომოტივი“, ყაზანის „რუბინი“, სიმფეროპოლის „ტავრია“; მოსკოვის „სპარტაკის“ ყოფილმა პრეზიდენტმა ჩერვიჩენკომაც კარგად იცის ქართველების შესაძლებლობები. „რუბინის“ მწვრთნელს ყურბან ბერდიევს კი ნათქვამიც აქვს, შემიძლია, გუნდში თერთმეტი ქართველი ვათამაშო. ათამაშებს კიდეც, რადგანაც იცის ქართული მენტალიტეტი, მას ქართველ ფეხბურთელებთან თავისებური მიდგომა აქვს. ასევეა იური სიომინი, ვიაჩესლავ გროზნი და კიდევ რამდენიმე მწვრთნელი. თუმც ზოგი მწვრთნელი ქართველ ფეხბურთელს დასანახადაც ვერ იტანს.

— რატომ?

— ისევ და ისევ ქართული მენტალიტეტის, ქართული თავისებურებების გამო.

— თქვით, ახლავე ჩამოგითვლით რამდენიმე ფეხბურთელს, რომლებიც დღესვე შეძლებენ უკრაინაში და რუსეთში თამაშსო. ჩამოგვითვალეთ...

— მაგალითად, სერგო ორბელაძე, ჯაბა დვალი, შოთა ბაბუნაშვილი, კახა ალადაშვილი, გიორგი ჭელიძე...

— ანუ ველოდოთ, რომ მალე ეს ფეხბურთელებიც დატოვებენ საქართველოს ჩემპიონატს?

— თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა, საქართველოდან ტრანსფერი საერთოდ აღარც კი გაკეთდეს.

— რას გულისხმობთ?

— საქართველოს ნაკრების ცუდ შედეგსა და უსუსურ თამაშს. აზერბაიჯანში და ყაზახეთში ქართველი ფეხბურთელები ნებისმიერ დროს ითამაშებენ, მაგრამ სხვაგან... საქართველოს ნაკრებია ქართული ფეხბურთის სახე და, როცა ყაზახეთს ვერ მოუგებ, ხოლო დანიასთან 1:6 წააგებ, ქართული ფეხბურთის პრესტიჟი ნულს ქვემოთ ვარდება და უცხოელს ქართველის აყვანის სურვილი აღარ აქვს.

— რუსეთსა და უკრაინაში ქართველი ფეხბურთელის სატრანსფერო თანხა საშუალოდ რამდენია?

— გააჩნია ფეხბურთელს. თუ ნაკრებში თამაშობს, დაახლოებით 200 ათასი დოლარი, თუ არა, 100-150 ათასი.

— ამ ფულს მთლიანად ფეხბურთელის კლუბი იღებს?

— დიახ.

— აგენტი?

— აგენტს სატრანსფერო თანხის 20 პროცენტი ერგება, თუმცა საქართველოდან წასული ფეხბურთელების ტრანსფერებიდან ასეთ პროცენტს არ ვიღებთ, თანხა არც ისე დიდია და იმიტომ. რუსეთიდან და უკრაინიდან უცხოეთში გაკეთებული ტრანსფერებიდან კი 20 პროცენტი ჩვენია.

— თუმც, ბოლო დროს რუსეთიდან და უკრაინიდან ქართველები უცხოეთში აღარ წასულან...

— არადა, გაიხსენეთ რუსეთიდან და უკრაინიდან დიდ გუნდებში

გიორგი ჭელიძემ მოსკოვის „ლოკომოტივის“ ძირითადის მაისურა უკვე მოიარგო

რამდენი ქართველია წასული: გახოკიძე, კობიაშვილი, შელია, ყაველაშვილი, კალაძე, დემეტრაძე, ჯამარაული...

— მაშინ თქვენც კი თამაშობდით...

— აგენტად საქმიანობა დაახლოებით სამი წლის წინ დავიწყე. ამჟამად რუსული სააგენტო „პროფსპორტის“ წარმომადგენელი ვარ საქართველოში. ამ სააგენტოს ხელმძღვანელი ახრიკ ცვეიბაა, მე კი მისი მინდობილობით ვმუშაობ.

— ფიფას ლიცენზია არ გაქვთ?

— ჯერ არა, მაგრამ მალე მექნება.

— ამჟამად არ არის მოსალოდნელი რუსეთიდან უცხოეთში რომელიმე ქართველის ტრანსფერი?

— მოსალოდნელი არა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მოსკოვის „ლოკომოტივის“ თავდამსხმელი გიორგი ჭელიძე ორ-სამ წელიწადში უმაღლესი დონის გუნდში ითამაშებს. მას საამისოდ ყველა მონაცემი აქვს. მთავარია, ჯანმრთელად იყოს.

— საერთოდ, როგორ კეთდება ხოლმე ერთი ჩვეულებრივი ტრანსფერი?

— მაგალითად, ჭელიძე მოსკოვის „ლოკომოტივში“ სულ უბრალოდ აღმოჩნდა. „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობას ვთხოვეთ, რომ ამ ბიჭს ექვსი თვე გუნდთან ერთად ნორმალურ პირობებში ევარჯიშა და მერე თავის გზას მოძებნიდა. ამ ექვს თვეში კი ჭელიძემ მწვრთნელებს თავი ისე მოაწონა, კონტრაქტი გაუფორმეს. ყაზანის „რუბინის“ მცველი ლაშა სალუქვაძე კი გუნდის მწვრთნელებმა ძაშინ ნახეს, როცა თბილისის „დინამო“ ესპანეთში იყო მოსამზადებლად. ყაზანელებს ცენტრალური მცველის პოზიციაზე სჭირდებოდათ ფეხბურთელი და ჩვენ მოგვმართეს. სალუქვაძის კანდიდატურა შევიჯავაზეთ. მერე ყაზანელები მათ ყოფილ ფეხბურთელს ლევან სილაგაძეს დაუკავშირდნენ და მისგანაც მიიღეს სალუქვაძეზე რეკომენდაცია. ბოლოს კი ესპანეთში ნახეს ამ ფეხბურთელის თამაში, მოეწონათ და მოლაპარაკებაც დაიწყო.

— მოლაპარაკებები კი ხშირად იშლება ხოლმე. მიზეზი მხოლოდ სატრანსფერო თანხაა?

— ან ეს, ანაც კლუბი ფეხბურთელს პირობებით ვერ აკმაყოფილებს. სხვა მიზეზი არ არის, ყოველ შემთხვევაში, ჩვენი სააგენტოს მიერ დაწყებული მოლაპარაკება სხვა მიზეზით არ ჩაშლილა.

— შეგიძლიათ, გვითხრათ, რუსეთში ქართველ ფეხბურთელებს როგორი პირობები აქვთ?

— დაახლოებით ოცდაათჯერ უკეთესი, ვიდრე საქართველოში. მანქანა, ბინა, ხელფას-პრემია... აბიტომაც ნურავის უკვირს, თითქმის ყველა ფეხბურთელს რომ წასვლაზე უჭირავს თვალი. აქ მათ ელემენტარული პირობები არ აქვთ, თავს ვერ ირჩენენ. წარმოიდგინეთ, რომ საქართველოს ნაკრების კანდიდატი ალეკო გოგობერიშვილი ბაქოში წავიდოდა? მაგრამ წავიდა, იმიტომ, რომ საგრძნობლად უკეთესი პირობები შესთავაზეს. ვიდრე ჩვენს ჩემპიონატში სოლიდური ინვესტიციები არ გაჩნდება, კლუბებს შეძლებული პატრონები არ ეყოლებათ, ფეხბურთელს აქ ვერ დააკავებ.

— მაგრამ, როგორც თქვით, ქართველების აყვანას უკვე რუსეთსა და უკრაინაშიც კი ერიდებიან...

— ასეა, თუმცა... რუსეთის პრემიერლიგაში ქართველ ფეხბურთელებს ჯერ კიდევ აქვთ დიდი ავტორიტეტი — ასათიანი, ქინქლაძე, დემეტრაძე, აშვეთია... იცით, რა მოხდა, როცა „რუბინმა“ სანკტ პეტერბურგში „ზენიტს“ მოუგო? ქინქლაძე პირად საქმეებზე პეტერბურგში დარჩა და მეორე დღეს „რუბინის“ ხელმძღვანელობას დაურეკა, ყაზანში მოსკოვის გავლით მოვდივარ და ხვალ ჩამოვალო. ყაზანელებმა კი... ქინქლაძეს პეტერბურგში თვითმფრინავი გაუგზავნეს, გზის გაგრძელებას მოარიდეს და პირდაპირ ყაზანში გადააფრინეს. აი, ასე აფასებენ დღეს მოთამაშე ქართველებს რუსეთში და საქართველოდან ტრანსფერები თუ კიდევ გაკეთდება, ამ ფეხბურთელების დიდი დამსახურება იქნება. თორემ, საქართველოს ნაკრები და ჩემპიონატი ისეთ დაბალ დონეზეა, რუსეთში ქართველ ფეხბურთელს კონტრაქტს უწინდელივით, ერთი ნათქვამით აღარ უფორმებენ.

ძოგა ინასარიძე

მიხეილ ჯოჯუა 80 წლის ხდება

პოლონელი გოგოების კერპი მიშელი

დავით თავართქილაძე

მიხეილ ჯოჯუა ცოცხალი ლეგენდაა — თბილისის „დინამოს“ 50-იანი წლების მარჯვენა გარემარბი მალე 80 წლის იუბილეს იზეიმებს... ბორის პაიჭაძე, ბასა ღოლობერიძე ნიაზ ძიაპშპა, ვლადიმერ მარღანია — აი, ასეთი ხალხის გვერდით თამაშობდა ჯოჯუა, რომელიც ფეხბურთელობის შემდეგ ხელოვნებაში გაიჭრა და საკმაოდ წარმატებითაც... ბატონი მიხეილი მრავლისმნახველი კაცია მრავალმხრივი ნიჭით, მაგრამ სახელი უფრო მაინც ფეხბურთელობით დაიგდო... ერთი სიტყვით, მიშა ჯოჯუა დიდი იუბილესთვის ემზადება, მანამდე კი „სარბიელს“ თავისი ცხოვრების საინტერესო ეპიზოდებს მოუთხრობს...

1941 წელს თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდში ვთამაშობდი და ფრონტზე გამიწვიეს სევასტოპოლში. სამი თვე ვომობდი და მერე ისევ ოფიცერთა სახლის გუნდში დამაბრუნეს, სადაც ოთხი წელი დავყავი. შემდეგ ახალგახსნილ „შრომითი რეზერვების“ კლუბში გადავედი. „შრომითი რეზერვების“ გუნდის მოთამაშე-მწვრთნელი გავრილ კაჩალინი გახლდათ. ჩვენ მაშინ B კლასში გამოვდიოდით.

ერთი წლის შემდეგ უმაღლეს, A კლასში გადავედი, მოსკოვის „კრილია სოვეტოვში“. მალე ჩემი თანაგუნდელი გახდა ნიკიტა სიმონიანი, ვინც სოხუმიდან ჩამოიყვანეს.

„კრილიაში“ ორ წელიწადზე მეტი ვიყავი, ამ დროს ლავრენტი ბერია თბილისის „დინამოს“ არცთუ კარგმა სატურნირო მდგომარეობამ შეაშფოთა — „დინამო“ მეცხრე ადგილზე იყო, ჰოდა, ბერიამ თავისთან დაიბარა გუნდის უფროსი შოთა შავგულიძე და მთავარი მწვრთნელი კონსტანტინ სოკოლოვი.

„დინამოში“ უკვე გაიოზ ჯეჯელავა აღარ თამაშობდა და გუნდის წარმომადგენლებსაც ბერიასთვის უთქვამთ, მარჯვენა გარემარბის პრობლემა გვაქვს, თუმც არის ერთი ასეთი ქართველი, მაგრამ ის „კრილიაში“ თამაშობსო. რა უნდა ქართველს მოსკოვის გუნდშიო — გაჰკვირვებია ბერიას და უკითხავს, „დინამოს“ მომდევნო თამაში ვისთან აქვსო. შავგულიძეს და სოკოლოვს უთქვამთ, ახლა რიგაში „დაუგავას“ ვხვდებითო და ბერიასაც ჰირობა მოუცია, ჯოჯუა რიგაში უკვე თქვენთან იქნებაო.

ჩვენ, „კრილია“ კი მორიგ ტურში ტაშკენტში ჩავდიოდით სათამაშოდ. ჩავფრინდით უზბეკეთის დედაქალაქში და თვითმფრინავში ორი ჩეკისტი ამოვიდა, მტაცეს ხელი და წამიყვანეს. თანაგუნდელებს თურმე უეჭვიათ, ომი ახალი დამთავრებულია და ჯოჯუა შპიონი ხომ არ არისო.

აეროპორტიდან პირდაპირ უზბეკეთის შინაგან საქმეთა მინისტრ მამედოვთან მიმიყვანეს და მან მაცნობა, ბერიას ბრძანებით თბილისის „დინამოში“ ხარ გადაყვანილიო. მინისტრს ხუმრობით ვუთხარი, ჯერ „კრილიას“ ბიჭებთან მიმიყვანეთ, რათა ვუთხრა, რომ შპიონი არ ვარ-მეთქი.

ტაშკენტიდან მოსკოვში გადამაფრინეს, იქიდან რიგაში, სადაც ბერიას პირადი მდივანი მერკულოვი დამხვდა და მითხრა, დინამოელებს გადაეცი, თუ კიდევ წააგებთ, საქმე ბერიასთან გექნებათო.

„დინამოში“ მისულს სოკოლოვმა მითხრა, შენ შენი თამაში ითამაშე, ამათ ნუ უყურებ, ესენი სულ მატაობენო. მე კი მერკულოვის დანაბარები მუქარა მოვახსენე „დინამოს“ ფეხბურთელებს და ყველას სახე გაუფითრდა.

გავედით „დაუგავასთან“ სათამაშოდ და ჩემთვის ვფიქრობდი, ერთი გოლი შემაგდებინა და მერე თუგინდ წავაგოთ, ბერიას რისხვას მაინც გადავურჩები-მეთქი. ის მატჩი 3:1 მოვიგეთ და ერთი ბურთი მე შევაგდე — ღოლობერიძემ ჩააწოდა, პაიჭაძემ გაატარა ბურთი, რომელსაც საგოლედ მოვუქნიე ფეხი — ეს იყო ჩემი პირველი გოლი „დინამოში“. მომდევნო შეხვედრაში შინ კუიბიშევის „კრილია სოვეტოვს“ მოვუგეთ 6:2 და მე ორი გოლი გავიტანე. მოკლედ, „დინამოში“ ყველაფერი კარგად ამეწყო.

1950 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მესამე ადგილზე გავედით, მომდევნო წელს მეორეზე, ხოლო 1952 წელს ჩემპიონატი არ ჩატარებულა, რადგან იმ წელს ფინეთში ოლიმპიური თამაშები იმართებოდა. ოლიმპიურ ნაკრებში მიხმეს და შეკრებაზე ოთხი თვე ვიყავით, მაგრამ საბოლოოდ მარჯვენა გარემარბის პოზიციაზე ჩემ ნაცვლად ფინეთში მოსკოვის დინამოელი ტროფიმოვი წაიყვანეს.

1953 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში პირველი ადგილი დავიკავეთ, მოსკოვის „სპარტაკი“ ერთი ქულით ჩამოვიტოვეთ. ჩემპიონატის ბოლო მატჩში მოსკოვის „ტორპედოს“ მოვუგეთ და თამაშის შემდეგ ჩემპიონობა ვიზეიმეთ. მაგრამ მეორე დღეს ფეხბურთელებთან ჩვენი მთავარი მწვრთნელი მიხაილ იაკუშინი მოვიდა და გვითხრა, გადათამაშება დანიშნეს, ჯერ ჩემპიონები არ ვართო.

უსამართლოდ დანიშნული საჩემპიონო მატჩი ლატიშევმა იმსაჯა და „ტორპედოს“ 4:2 მოაგებინა — ასე ჩამოგვართვეს ჩემპიონობა.

... და 1951 წელი, ტურნე პოლონეთში, სადაც ოთხი მატჩიდან სამი მოვიგეთ და ერთი ფრედ ვითამაშეთ. ყველაზე მნიშვნელოვანი ვარშავის სპდკ-სთან 2:0 გამარჯვება იყო. მატჩის შემდეგ კონცერტზე დაგვპატიჟეს, სიმფონიური ორკესტრი უკრავდა და ბიჭებმა მითხრეს, იქნებ სცენაზე ახვიდე და იმღეროო. მე მაშინ კარგად ვმღეროდი, მოსკოვში მუსიკალური ტექნიკუმიც კი მქონდა დამთავრებული. გავედი სცენაზე და ორკესტრის დირიჟორი მეკითხება, რას იმღერებო. იმ დროს ჩვენს კინოთეატრებში პოლონური ფილმი „სიმღერა სიყვარულზე“ გადიოდა და ამ ფილმში იან კიპურა ასრულებდა სიმღერას. დირიჟორსაც ვუთხარი, აბას ვიმღერებ-მეთქი და სიმღერის დასრულებას ტაში მოჰყვა. ამით შეგულიანებულმა ტოსკას არიაც ვიმღერე და როცა არიის ბოლოს მეორე ოქტავის დო ვერ ავიღე, „პეტუშოვი“ გავუშვი. დარბაზი ძალიან გამხიარულდა და უფრო ძლიერი აპლოდისმენტებიც მომიძღვნეს.

კონცერტის შემდეგ იყო ბანკეტი, ფეხბურთელებს გვერდში გოგოები მოგვისვეს. „სტალინ-ბერუტა-მიშელ!“ გაიძახოდნენ პოლონელები. ბერუტი პოლონეთის პრეზიდენტი იყო, მიშელი კი მე, მიშა ჯოჯუა გახლდით.

... „დინამოდან“ სხვა გუნდში არ გადავსულვარ და ფეხბურთელობას 1954 წელს შევეშვი. ჩემმა მეგობრებმა, არჩილ ჩხარტიშვილმა, რევაზ ლაღიძემ, პეტრე გრუზინსკიმ და არჩილ კერესელიძემ მითხრეს, მუსიკალური ხარ, იუმორიც გაქვს და თეატრში გადაინაცვლეო. სწორედ მათი რჩევით შევქმენი მინიატურების თეატრი, რომელშიც დირექტორიც ვიყავი და მსახიობიც. შემდეგ მეგობრობის თეატრი შევქმენი — თბილისთან დაძმობილებული ქალაქებიდან ვიწვევდით დასებს და თბილისიდანაც ვუშვებდით გასტროლებზე ამ ქალაქებში ჩვენს წამყვან თეატრებს.

ეროსი მანჯგალაძის გარდაცვალების შემდეგ კინომსახიობთა თეატრის დირექტორი გავხდი, მერე მთაწმინდის პარკის. ამ პარკში და იქ მდებარე რესტორანში კონცერტებს ვმართავდით, იქაურობა კულტურის ცენტრი გახდა. შემდეგ მუსკომედიის დირექტორიც გახლდით, ახლა კი კვლავ მეგობრობის თეატრში ვარ, სადაც ჩვენი სახელოვანი მსახიობების შემოქმედებითი საღამოები იმართება.

მიხეილ ჯოჯუა ორ ამპლუაში: ფეხბურთელობისას (ბურთით) და მსახიობობისას

ფერნანდო ტორესის სანაცვლოდ „არსენალი“ 20 მილიონ გირვანქას იხდის

საიანვრო მზადება

ფერგიუსონს ჩემპიონობა სურს, ვენგერს – ტორესი

სერ ალექს ფერგიუსონმა განაცხადა, რომ იანვრის სატრანსფერო ფანჯრის დროს მოაძლიერებს თავის გუნდს. „ჩელსის“ ძლევის შემდეგ „მანჩესტერის“ ბოსს ჩემპიონობისათვის ბრძოლის წყურვილი კვლავ გაუჩნდა და თქვა: „რამდენიმე კაცი გვაკლია. თუმცა, იმათგან არავის გადმოვიყვანთ, ვინც ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად იბრძვის. ეს შესაძლებლობებს ზღუდავს, თუმცა, ბევრად არა. მე კმაყოფილი ვარ ჩემი ახალგაზრდა მოთამაშეებით. გვაკლია როი კინის, გარი ნევილის და გაბრიელ ჰაინცეს გამოცდილება, მაგრამ ამ დროსაც გავატანთ“.

ამ შემოდგომაზე უკვე ლაპარაკობდნენ „მანჩესტერში“ მადრიდელი თომას გრავესენის ან მიუნხენელი მიხაელ ბალაკის გამოჩენაზე, თუმცა, ჯერჯერობით საქმე ლაპარაკს იქეთ არ წასულა.

შარშან, იანვარში ფერგიუსონმა ფულემელი მეგოლე ლუი საა იყიდა, ისევ და ისევ იმის გამო, რომ ის ჩემპიონთა ლიგაში არ თამაშობდა. საა ნაკლებად გამოადგა „მანჩესტერს“. ვარაუდობენ, რომ ფერგი წლეულსაც პრემიერლიგელ ფეხბურთელს აირჩევს, თანაც, არცთუ მოწინავე გუნდიდან.

ლონდონში კი არსენ ვენგერი ემზადება სავაჭროდ. კლუბმა მას 45 მილიონი გირვანქა გამოუყო გუნდის მოსაძლიერებლად. ამბობენ, რომ ვენგერი მზადაა, „არსენალისთვის“ სარეკორდო 20 მილიონი გირვანქა მადრიდის „ატლეტიკოს“ გადაუხადოს და იქედან ჭაბუკი ვარსკვლავი ფერნანდო ტორესი წამოიყვანოს.

ირაკლი გამყრელიძე

ვენეიბლზი? ირლანდია გატრუნულია



ბრიტანეთის მოწინავე ბუქმეიკერებმა თავიანთი სიებიდან ერთი კაცი ამოიღეს — საქმე კი ეხება ირლანდიის ნაკრების მენეჯერის თავისუფალ თანამდებობას. მრავალ კანდიდატს შორის მეფსონეებს სავარაუდო სიაში ტერი ვენეიბლზიც ეწერათ. ჰოდა, სწორედ მისი სახელი ამოიღეს სიიდან, ვენეიბლზზე ფული არ დაიდებაო.

ამის მიზეზი შეიძლება ერთი რამ იყოს: უაღრესად სარწმუნო წყარო იტყობინებოდეს, რომ საქმე გადაწყვეტილია.

ვენეიბლზი, რომელმაც 1996 წელს ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში გაიყვანა ინგლისის ნაკრები, ახლა ტელეკომენტატორად მუშაობს.

ძველად მას გაუწვრთნია „კრისტალ პალასი“, „ქუინზ პარკი“, „ტოტენჰემი“, „ბარსელონა“, „მიდლსბრო“, „ლიდსი“, ავსტრალიის ნაკრები. 90-იანი წლების ინლისელი ფეხბურთელები დღემდე სწორედ მას თვლიან საუკეთესო და ყველაზე სასურველ სანაკრებო მწვრთნელად.

ირაკლი გამყრელიძე

იუვე აიაქსს მიადგა

ტრეზეგე კაპელომ დაიფიცა

დავიდ ტრეზეგე „ბარსელონაში“ მწვრთნელმა არ გაუშვა

ტურინის „იუვენტუსი“ „აიაქსის“ სამი მოთამაშით არის დაინტერესებული — ნაიჯელ დე იონგით, მაქსველით და ჰატემ ტრაბელსით. სამივე მათგანს ამსტერდამელებთან კონტრაქტი სეზონის ბოლოს ეწურება და „ბებერი ქალბატონის“ გენერალური დირექტორი ლუჩანო მოჯი მათთვის მიმზიდველ წინადადებებს ამზადებს.

მოგეხსენებათ, „აიაქსი“ ნიჭიერი ფეხბურთელების აღზრდით კარგად არის ცნობილი. „იუვემ“ ეს საკუთარ თავზე ბოლოს შარშან გამოსცადა, როდესაც ჰოლანდიელთაგან ზლატან იბრაჰიმოვიჩი იყიდა და ახლა შვედი ტურინელთა ლიდერია.

მაქსველით „ბებერი ქალბატონი“ დიდი ხანია დაინტერესებულია და, როგორც ამბობენ, ამ სამეულიდან ყველაზე მეტად მისი ხელში ჩაგდება სურს. გავრცელებული ცნობით, ტურინელები მარცხენა მცველს ოთხწლიან კონტრაქტს და სეზონში 1,7 მილიონ გირვანქას სთავაზობენ.

ჰატემ ტრაბელსი, რომელიც მარჯვენა მცველია და შეტევებში ძალიან ხშირად ერთვება, ჯონათან ძებინას შემცვლელად მოიაზრება. ფრანგმა ტურინელთა მოლოდინი ბოლომდე ვერ გაამართლა. მოგეხსენებათ, ამჟამად იგი ტრავმირებულია, ხოლო „იუვეს“ მარჯვენა ფლანგზე გარკვეული პრობლემები აქვს.

რაც შეეხება ნაიჯელ დე იონგს, იგი ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ნახევარმცველად ითვლება და, ცხადია, „იუვენტუსის“ ყურადღების ცენტრშიც მოიქცა. თუმც მის დამატებას „ბებერმა ქალბატონმა“ შესაძლოა, ინტერელი კრისტიანო ძანეტის ყიდვა არჩიოს, რომელიც ფაბიო კაპელოს ყოფილი შეგირდი და ერთ-ერთი ფავორიტია.

ტურინული თემა დავიდ ტრეზეგეთი გავაგრძელოთ, იგი ხომ გასულ ზაფხულს „ბარსელონაში“ გადასვლასთან ძალიან ახლოს იყო, მაგრამ ტრანსფერი ბოლო მომენტში ჩაიშალა. ამაში კი თურმე ლომის წილი სწორედ ფაბიო კაპელოს მიუძღვის. „იუვეს“ თავკაცმა ფრანგს დარჩენა სთხოვა, ხოლო ხელმძღვანელობას მისი გაყიდვისგან თავის შეკავება.

„მართალია, როდესაც დავიდი „ბარსაში“ გადასვლას აპირებდა, დავურეკე და ველაპარაკე. ეს რომ არ გამეკეთებინა, ახლა გაცილებით სხვა ვითარება იქნებოდა. ალბათ დამეთანხმებით, რომ სწორად მოვიქეცი. „იუვენტუსი“ ერთ მუშტად შეკრული გუნდია, სადაც გადაწყვეტილებებს არავინ ისე არ იღებს, თუ სხვასაც არ ჰკითხა“ — თქვა კაპელომ.

ბოლოს ადრიან მუტუზეც ვთქვათ. რუმინელმა ფეხბურთელმა კოკაინის სკანდალში გახვევის შემდეგ სარეაბილიტაციო კურსი გაიარა, ბოლომდე განიკურნა და ნელნელა სათამაშო ფორმაც აღიდგინა. მას „იუვეს“ ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული არ აქვს, მაგრამ როცა თამაშობს, ურიგო შთაბეჭდილებას ნამდვილად არ ტოვებს.

„აქ მართლაც ბედნიერი ვარ. კარგად ვთამაშობთ და სერია A-ს ლიდერები ვართ. იმედია, ჩემპიონთა ლიგაზეც წარმატებას მივაღწევთ. ჩვენი მიზანი ყოველთვის ერთია — გამარჯვება. „იუვენტუსის“ მაღლობელი ვარ, მძიმე წუთებში გვერდზე რომ დამიდგა“ — აღნიშნა მუტუმ.

რუმინელმა კომენტარი მაურო კამორანეზიზეც გააკეთა, რომელიც მისი ერთ-ერთი მთავარი კონკურენტია. საქმე ისაა, რომ უკვე ორი მატჩია, ფაბიო კაპელო შეცვლაზე შესულ კამორანეზის რამდენიმე წუთში ისევ ცვლის.

„კამორანეზი ყველაფერს გაგებით უნდა მოეკიდოს. თუ კაპელო მის შეცვლას საჭიროდ თვლის, ესე იგი მიზეზებიც აქვს. მწვრთნელი ყოველთვის მართალია“.

ბოკი კანდელაკი

მილანის ფსიქოლოგიური ოთახი

კაკა „მილანის“ ერთგული 2010 წლამდე იქნება

იტალიური „მილანის“ ხელმძღვანელობამ და ექიმებმა საინტერესო გადაწყვეტილება მიიღეს — ამიერიდან ფეხბურთელებს განტვირთვისთვის სპეციალური „ფსიქოლოგიური ოთახი“ ექნებათ, რომელშიც რვა მოთამაშე დაეტევა. ისინი სხვადასხვა სურათებს დაათვალიერებენ, მაგალითად: ჰაერში მყოფ თვითმფრინავს, ზღვაში მცურავ გემს და ასე შემდეგ. სეანსი დაახლოებით 20 წუთს გასტანს და მატჩების ან ვარჯიშების შემდეგ ჩაივლის.

ეს იდეა „შავ-წითელთა“ შეფობას ბოლო წლებში ორი შოკისმომგვრელი მატჩის, „დეპორტივოსთან“ წაგებული 0:4-სა და „ლივერპულთან“ განიავებული სამბურთიანი უპირატესობის შემდეგ მოსვლიათ. გარდა ამისა, მილანელი მედიკოსები ამიერიდან მოთამაშეთა ფსიქოლოგიურ მდგომარეობას გაცილებით მეტ ყურადღებას დაუთმობენ.

„როსონერის“ ბრაზილიელი ვარსკვლავი კაკა კი ფრანჩესკო ტოტის „მილანში“ ეპატიჟება. 23 წლის გამთამაშებელს „რომას“ კაპიტანი თურმე ძალიან მოსწონს და მასთან ერთად თამაში სწადია.

„ჩვენი ერთად თამაში ბრწყინვალე იქნებოდა. იგი ჩემი სტილის ფეხბურთელია, თანაც ლამაზი გოლების გატანა და ქომაგთა სიამოვნება ორივეს გვიყვარს. ფრანჩესკოს მოვუწოდებ, „სან სიროზე“ გადმოსვლაზე იფიქროს, რაც შემეხება მე, მსურს, აქ სულ ცოტა, 2010 წლამდე დავრჩე“ — განაცხადა კაკამ.

ბოკი კანდელაკი

რა უნდა დემიკელისს გუნდესნაკრებში?

მარტინ დემიკელისისთვის გერმანელთა სურვილი „ჩინურია“

გერმანულმა „ბილდმა“ სენსაციური სურვილი გაამხილა — ჟურნალისტებმა ბუნდესნაკრების მწვრთნელ იურგენ კლინსმანს გუნდში მიუნხენის „ბაიერნის“ არგენტინელის, მარტინ დემიკელისის აყვანა სთხოვეს.

„მერე რა, რომ დემიკელისი არგენტინელია. იქნებ მარტინს წინაპრებში ვინმე ჰყავდა გერმანელი. თუ ასეა, მას გერმანიის მოქალაქეობა დაუყოვნებლივ მივაღებინოთ და ნაკრებსაც დაკვაში პრობლემები მოეხსნებაო“ — ეკითხულობთ ჟურნალში.

იგივე აზრზეა ბერტი ფოგთსიც, გერმანიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი: „დემიკელისი უნივერსალური ფეხბურთელია. მოედნის ცენტრსა და დაცვას შორის მასზე უკეთესად სივრცის გაკონტროლება არავის შეუძლია“ — განაცხადა 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის მომგებმა სპეციალისტმა.

ბაიერნელი ბიქსენტ ლიზარაზუც არგენტინელის გაგერმანელებაზე ლაპარაკობს: „ის ჩვენთან ბრწყინვალედ თამაშობს. ვისურვებდი, გერმანიის ნაკრებსაც ასეთი ფეხბურთელი ჰყავდეს“.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ თავად მარტინ დემიკელისს არაფერს ვეკითხებით? მას ხომ არგენტინის ნაკრების დატოვებაზე და „ნაციონალმანშაფტში“ გადასვლაზე ჯერ არაფერი უთქვამს. ესეც რომ არა, დემიკელისს უკვე ნათამაშევი აქვს მშობლიური ქვეყნის ნაკრების მაისურით და გერმანელთა ლაქლაქიც წყლის ნაყვაა და მეტი არაფერი...

ლადო ხომერიკი

სამუელ ეტოოს „შავი მაიმუნი“ კიდევ ერთხელ უწოდეს

ისევ რასიზმი...

ხეტაფეს სამი ათასი აართვეს

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ მადრიდული „ხეტაფე“ 3 ათასი ევროთი დააჯარიმა. დედაქალაქური კლუბი ქომაგთა რასისტული ღრიალის გამო დასაჯეს. პრემიერადივიზიონის მე-11 ტურში, „ბარსელონას“ ფორვარდ სამუელ ეტოოს მადრიდელმა ფანებმა „შავი მაიმუნი“ უძახეს და იმიტომ.

„ეს უსამართლო გადაწყვეტილებაა, რადგანაც მატჩის მსაჯი, არტურო დაუდენ იბანიესი იყო ის ერთადერთი კაცი, რომელმაც „ალფონსო პერესის“ სტადიონზე რასისტი გულშემატკივრების ყვირილი მოისმინა. იბანიესის გარდა რატომღაც ვერავინ გაიგო ჩვენი ინჩასების ვითომც და რასისტული შეძახილები. ფედერაციაც მსაჯის მატჩის პატაკს დაეყრდნო და ტყუილუბრალოდ დაგვაჯარიმა“ — თქვა „ელ მუნდო დეპორტივოსთან“ საუბარში ანხელ ტორესმა, „ხეტაფეს“ პრეზიდენტმა.

მადრიდელთა პრეზიდენტის აზრით, ქომაგები მატჩისას სანიმუშოდ იქცეოდნენ.

„ტელევიზიით მოელმა ქვეყანამ ნახა, ტრიბუნებზე რა პლაკატებიც იყო გამოფენილი. გამოდის რომ, ფანებმა სხვათა თვალისასახვევად „ძირს რასიზმი!“ გადმოკიდეს, ისე კი ეტოოს „შავ მაიმუნს“ ეძახდნენ? აბსურდია ეს ყველაფერი“ — დასძინა ბოლოს ტორესმა.

ლადო ხომერიკი

კასანოს თავგადასავალი

ამბობენ, ანტონიო კასანო მოჭკვიანდაო

გუშინაც გაუწყეთ, „რომას“ თავკაცმა ლუჩანო სპალეტიმ რომ თქვა, ანტონიო კასანოს კვლავ ავათამაშებო და ამას მყისვე გაგრძელება მოჰყვა. ჩვენც მივყვეთ დინებას და „კასანოს თავგადასავლის“ მორიგ ამბავს გავეცნოთ.

როგორც იცით, პრობლემა იმაშია, რომ მხარეები ახალი კონტრაქტის პირობებზე ვერ შეთანხმდნენ. მთავარი დაბრკოლება კი ის გახლდათ, რომ „ხულიგანი“ დიდ ხელფასს ითხოვდა. ამან კლუბის უფროსობა ძალიან გააბრაზა და ახლა ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ ანტონიო კასანოს „სტადიო ოლიმპიკოზე“ დიდი დღე არ უწერია. თუმც მოქმედი შეთანხმებით მომავალ ზაფხულს იგი თავისუფალი აგენტი გახდება, რაც „რომას“ ხელს არ აძლევს, რადგანაც თავის დროზე 20 მილიონ გირვანქად ნაყიდ ფეხბურთელს უკომპენსაციოდ დაკარგავს. ამიტომაც დედაქალაქელები მოლაპარაკებებს მაინც განაგრძობენ და ამბობენ, მხარეებმა თითქმის საერთო ენაც გამონახესო.

აპენინური ჟურნალ-გაზეთების ცნობით, ანტონიო კასანო 2,7 მილიონი გირვანქის ნაცვლად წელიწადში 2,16 მილიონს დაყაბულდება. მისი შეძენის მსურველს კი დაახლოებით 10-12 მილიონის გადახდა მოუწევს, რითაც კლუბიც ისარგებლებს და თავად ფეხბურთელიც. კასანოს მომავალ გუნდად კვლავ ტურინის „იუვენტუსს“ ან მილანის „ინტერს“ ასახელებენ.

კოკი კანდელაკი

ლინენი მაინცს გადააყოლეს



ევალდ ლინენი უმუშევარია

„ჰანოვერში“ მწვრთნელის ადგილი გათავისუფლდა — ევალდ ლინენი მოხსნეს და მას თანაშემწე მიხაელ ფრონცეკიც ზედ მიაყოლეს. გუნდმა, რომელიც ამ სეზონში ათეულში მოხვედრას გეგმავს, ბოლო რვა ტურში მხოლოდ ერთი მატჩი მოიგო. ახლა 12 ქულა აქვს და მეცამეტე ადგილზეა. გასულ უქმეებზე „ჰანოვერი“ „მაინცს“ შინ 2:2 დაუზავდა და კლუბის პატრონმა მწვრთნელს ეს ფრე არ აპატია.

ევალდ ლინენმა გუნდი 2004 წლის მარტში რალფ რანგნიკისგან ჩაიბარა. ჯერ კიდევ შარშან შემოდგომაზე ფანები მის გამვებას ითხოვდნენ. „ლინენ, წადი!“ — ისმოდა „მინციაწ“ მატჩისასაც და ამჯერად, ქომაგთა თხოვნა კლუბმა შეასრულა.

ახლა „ჰანოვერი“ შესაძლოა, ლოთარ მათეუსს ან პეტერ ნოირუერს ჩააბარონ, რომლებმაც რამდენიმე დღის წინ „ნიურნბერგის“ თავკაცობა იუარეს.

ევალდ ლინენი კი ამ სეზონში რიგით მესამე მოხსნილი მწვრთნელია კლაუს აუგენტალერისა (ლევერკუზენი) და ვოლფგანგ ვოლფის (ნიურნბერგი) შემდეგ.

ვაჟა ხუციშვილი

ნიურნბერგის ბაბუა

„ნიურნბერგის“ თავკაცად 63 წლის ჰანს მაიერი დანიშნეს. იგი ვოლფგანგ ვოლფს შეცვლის, რომელიც გასულ კვირას გაათავისუფლეს.

მაიერი ბუნდესლიგაში ბოლოს 2004-ში მწვრთნელობდა. მან გასავარდნად თითქმის განწირული ბერლინის „ჰერტა“ ჰუუბ სტევენსისგან იანვარში ჩაიბარა და ხუთ თვეში გუნდი ისე მოაფერიანა, რომ ელიტაში დატოვა. მაშინ მოხუცმა თქვა, ჩემი მწვრთნელობა დასრულდაო, მაგრამ „ნიურნბერგის“ დირექტორი მარტინ ბადერი შეუჩნდა და გადაწყვეტილება შეაცვლევინა. მოკლედ, ერთი წლის შემდეგ ჰანს მაიერი კვლავ ბუნდესლიგაშია.

ეს კაცი ცნობილია, როგორც მხსნელი და არაერთი გუნდი გადაურჩენია მეორე ბუნდესლიგაში ჩაქვეითებისგან. თავის დროზე შვიდ სხვადასხვა კლუბში უმუშავია, მათ შორის მიონხენგლადბახის „ბორუსიასა“ და ჰოლანდიურ „ტვენტეში“, სადაც სამი სეზონი დაჰყო. მარტინ ბადერმა ახალ მწვრთნელს კონტრაქტი სეზონის ბოლომდე გაუფორმა და „ნიურნბერგი“ უძლიერესთა შორის ადგილს თუ შეინარჩუნებს, ხელშეკრულებას გაუხანგრძლივებენ.



ჰანს მაიერი

ვაჟა ხუციშვილი

სტრასბური ბობიჩს მიადგა

ფრანგული „სტრასბური“, რომელსაც ეროვნულ ჩემპიონატში ჯერ მატჩი არ მოუგია, გერმანელი ფრედი ბობიჩის გადაბირებას ცდილობს. ცხრილის ბოლოადგილოსან გუნდს 14 შეხვედრაში მხოლოდ 5 გოლი აქვს გატანილი და სასწრაფოდ ფორვარდი სჭირდება. თუმც აქვე უნდა ვთქვათ, რომ „სტრასბურმა“ უეფას თასზე ორივე თამაში მოიგო.

კლუბის პატრონი ეგონ გინდორფი მწვრთნელ ჟაკ დიუგეპერუს მაინც ენდობა და ცუდი შედეგების მიუხედავად, მის გაშვებას არ აპირებს. მწვრთნელს შეეძლო, სეზონის დაწყებამდე შეეძინა ფრედი ბობიჩი, მაგრამ მაშინ იუარა, რადგან პიერ-ალან ფროს გადაყვანა ეწადა, რომელიც ახლა „ლიონის“ სათადარიგოთა სკამს ხეხავს.

ამ კვირის დასაწყისში სტრასბურელები ფროს აგენტს შეხვდნენ და ტრანსფერზე ესაუბრნენ, თუმც მაჩანჩალა გუნდში გადასვლის პერსპექტივით ლიონელი ვერ მოხიბლეს. რაკი ეს საქმე არ გაიჩარხა, გინდორფი ფრედი ბობიჩს მიადგა. 34 წლის გერმანელი შესაძლოა, მომავალ კვირაშივე ჩავიდეს სტრასბურში და გუნდან ერთად ვარჯიში დაიწყოს. კლუბის პატრონის თქმით, გამორიცხული არაა, ბობიჩმა 19 ნოემბერს „ნიცასთან“ ითამაშოს კიდეც.

გერმანელმა ფორვარდმა, რომელიც გასულ სეზონში ბერლინის „ჰერტას“ ფეხბურთელი იყო, 22 მატჩში მხოლოდ ერთი გოლის გატანა მოახერხა.

ვაჟა ხუციშვილი

მანუელ პელეგრინი

ფაბიანოს სან პაულუ ეძახის



ესპანური „სევილიას“ ბრაზილიელი ფორვარდი ლუიშ ფაბიანო მომავალ სეზონში სავარაუდოდ, თავის ძველ გუნდს, „სან პაულუს“ დაუბრუნდება.

„ჩვენ მას უკვე დავუკავშირდით. იგი თანახმაა, ისევ ბრაზილიაში იბურთაოს. ძალიან კარგი იქნება, თუ „სან პაულუში“ ლუიშისნაირი ტექნიკური მოიერიშე გვეყოლება“ — უთხრა ესპანურ „მარკას“ ჟუვენალ ჟუვენსიუმ, ბრაზილიური კლუბის პრეზიდენტმა.

ლუიშ ფაბიანო „სევილიაში“ გასულ ზაფხულს „პორტუდან“ გადავიდა. იქამდე კი ოთხი სეზონის განმავლობაში სწორედ „სან პაულოს“ ფეხბურთელი იყო. მის გარდა ბრაზილიელები კიევის „დინამოს“ მცველ როდრიგოს ყიდვასაც აპირებენ.

„ვიცით, რომ ორივე ფეხბურთელს „სან პაულუში“ თამაში უნდა. თუმც მათი კლუბების თავკაცთა პოზიცია ჯერჯერობით უცნობია. ყოველ შემთხვევაში, ვეცდებით, მოლაპარაკებები წარმატებით წარიმართოს“ — თქვა სეუ ჟუვენალ ჟუვენსიუმ.

ლადო ხომერიკი

ძრწოდეთ, მეტოქეებო!

მანუელ პელეგრინის „ვილიარეალი“ ესპანეთში ერთადერთი გუნდია, რომელმაც მეტოქეებს წლეულს ყველა თამაშში გოლი გაუტანა. ჯერჯერობით პირნელებმა 11 ტური ითამაშეს. „ვილიარელის“ ანგარიშზე კი 18 გატანილი ბურთია, რაც მხოლოდ ესპანური გრანდების, „ბარსელონას“ (27 გოლი) და მადრიდის „რეალის“ (22 გოლი) მიღწეულ შედეგს ჩამოუვარდება.

„მადლობის მეტი რა მეთქმის. ბიჭები ჩინებულად ირჯებიან და მოწინააღმდეგე კლუბებსაც უკვე მეტად და მეტად ეშინიათ ჩვენი“ — აღნიშნა „მარკასთან“ საუბარში მანუელ პელეგრინიმ, „ვილიარეალის“ ჩილელმა დამრიგებელმა.

გატანილი 18 გოლიდან 4-4 ხუან რომან რიკელმემ და ხოსე მარიმ მიითვალეს. შარშანდელმა „ოქროს ბუცის“ მფლობელმა, ურუგვაელმა დიეგო ფორლანმა კი მხოლოდ სამი შეაგდო. მარკოს სენამ და ლუჩანო ფიგეროამ ორ-ორჯერ შეძლეს მეტოქის კარის დალაშქვრა. ხოსიკოს, როხერ გარსიასა და ხუან პაბლო სორინის ანგარიშზე კი თითო გატანილი ბურთია.

ლადო ხომერიკი

გარინჩას შვედი მემკვიდრე

უნიჭო, მაგრამ დაგრეხილი ულფი

აქამდე ვიცოდით, რომ ლეგენდარულ გარინჩას ათი ქალიშვილი ჰყავდა, ახლა კი...

გუშინ რიო დე ჟანეიროში ვინმე ულფ ლინდბერგ ჰენრიკი ჩავიდა, 45 წლის სკანდინავიელი და როგორც გაირკვა, იგი მითიური „მანეს“ უკანონო შვილი ყოფილა. როგორ, რანაირადო, იკითხავა, ალბათ. როგორ და, 1959 წელს გარინჩას „ბოტაფოგო“ შვედურ ტურნეში იყო და ცხელსისხლიან ბრაზილიელსაც ულფი ერთ ფოთქინა ჩრდილოელ გოგოსთან „გაუჩალიჩებია“.

„მამაჩემს არასოდეს შევხვედრივარ, თუმც გარინჩაზე დაწერილი წიგნებიდან და საფეხბურთო ფილმებიდან მის შესახებ ყველაფერი ვიცი“ — მოკლედ განუცხადა შავტუხა შვედმა რიოელ ჟურნალისტებს.

ულფ ლინდბერგ ჰენრიკი ქალაქ პაუ გრანდეშიც ჩავა, იმ ქალაქში, რომელიც მანუელ ფრანსისკო დოს სანტოსის მშობლიურ ალაგად ითვლება. მართალია, მას მამის დარი საფეხბურთო ნიჭი არ გამოჰყოლია, მაგრამ ფეხები ისეთი დაგრეხილი აქვს, იცოცხლე...

ლადო ხომერიკი

ვან ბომელისთვის ელ კლასიკო გამოირიცხა

„ბარსელონას“, მადრიდის „რეალთან“ მოახლოებულ სუპერკლასიკოში ჰოლანდიელი ნახევარმცველი მარკ ვან ბომელი არ ეყოლებაო, გვამცნობს ესპანური მედია. ნარინჯისფერთა ნაკრების მოთამაშე გუშინ ეროვნული გუნდის ვარჯიშზე ჯორჯ ბოატენგს შეასკდა და მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო, რის გამოც ფეხბურთს სულ მცირე, 15 დღით ჩამოშორდა.

„მარკ ვან ბომელის ტრავმა სერიოზულია და ჩვენი დასკვნით ფეხბურთელი შაბათს, იტალიის ნაკრებთან თამაშს და პრიმერადივიზიონის რამდენიმე მატჩს გამოტოვებს“ — განუცხადა კატალონიურ „სპორტს“ ხორდი არდევოლმა, „ბარსელონას“ მთავარმა ექიმმა.

ვან ბომელი ცხადია, შოკირებულია: „ელ კლისიკოს“ მოუთმენლად ველოდი. ახლა კი ექიმებმა მითხრეს, რომ „რეალთან“ ბურთაობას ვერ შევძლებ. ეს ჩემთვის ძალიან დიდი დარტყმაა. ღმერთისა და „ბარსას“ მედიკოსთა იმედად ვრჩები, იქნებ მაინც შევძლო „რეალთან“ თამაშის წინ ფორმაში ჩადგომა“.

ლადო ხომერიკი

ვუნდერკინდი მექსიკელი არსენალისთვის

ლონდონის „არსენალმა“ 16 წლის კარლოს ველა იყიდა, მექსიკის ჭაბუკთა ნაკრების მეგოლე. ველამ წლეულს პერუში გამართულ ახალგაზრდულ მუნდიალზე მეტოქის მეკარეებს კარის ძელებიც „უმტვრია“ და ევროპულ გრანდთა ყურადღებაც ამად მიიპყრო.

ესპანური გაზეთების ცნობით, ჭაბუკი თითქოს კატოლონიურ „ბარსელონაში“ უნდა გადასულიყო, მაგრამ „მეთოფეებმა“ დაასწრეს სამხრეთელებს და ნორჩი ვარსკვლავი 3,5 მილიონ ღოლარად შეიძინეს.

კარლოს ველა გვადალახარას „ჩივასში“ თამაშობდა და, ასაკის მიუხედავად, სულ ძირითადში იყო. აი, რაც შეეხება ინგლისსა და „არსენალს“, აქ საქმე ცოტა რთულადაა. ბრიტანული კანონების მიხედვით, პრემიერლიგაში არასრულწლოვანები ვერ ითამაშებენ, ამიტომაც ყმაწვილი დავაჟკაცებამდე იჯარით ესპანურ „ვალენსიაში“ იბურთავებს.

„ბედნიერი ვარ, რომ ევროპის ორ შესანიშნავ გუნდში მომიწევს ყოფნა. „არსენალიც“ და „ვალენსიაც“ ბრწყინვალე კლუბებია“ — განაცხადა ველამ ჟურნალისტებთან საუბარში.

ლადო ხომერიკი

არგენტინა

აპერტურა

XIII ტური

არსენალი 2:4 ინდეპენდიენტე

კოლონი 2:0 ოლიმპო

ხიმნასია (ლ) 4:1 ხიმნასია (ხ)

ბოჯა ხუნიორსი	13	8	4	1	26:10	28
ველესი	13	8	2	3	18:9	26
ხიმნასია (ლ)	13	8	1	4	19:15	25
ინდეპენდიენტე	13	6	5	2	25:16	23
ესტუდიანტესი	13	7	1	5	17:12	22
არგ. ხუნიორსი	12	6	3	3	12:8	21
ბანფილდი	13	4	8	1	17:12	20
სან ლორენსო	12	5	4	3	20:17	19
ოლიმპო	13	4	7	2	14:13	19
რივერ პლეიტი	12	5	2	5	15:13	17
როსარიო	13	4	3	6	14:23	15
არსენალი	13	3	5	5	14:18	14
ლანუსი	12	3	5	4	11:17	14
კოლონი	13	3	4	6	17:22	13
ინსტიტუტო	12	2	6	4	6:11	12
ოლდ ბოისი	13	3	3	7	14:21	12
რასინგი	12	3	2	7	13:18	11
კილმესი	12	2	5	5	11:16	11
ხიმნასია (ხ)	13	2	5	6	15:22	11
ტიროფედერალი	12	2	1	9	12:17	7

ვან ნისტელროი ძაღლიშვილია ვიეირამ იუნაიტედი გათათხა

დიახ, ასე ამბობს პატრიკ ვიეირა — რუუდ ვან ნისტელროი მატყუარა და მშიშარა ადამიანია, რომელიც სხვებთან დამოკიდებულებაში გველივით იქცევაო.

სად თქვა „არსენალის“ ყოფილმა მოთამაშემ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფორვარდზე ასეთი მწარე რამ? თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში. შეგახსენებთ, რომ ფრანგი ვიეირა ამ სეზონში „იუვენტუსში“ თამაშობს და შესაბამისად, იტალიაში ცხოვრობს.

უნდა ითქვას, რომ წიგნი ჯერ არ გამოქვეყნებულა, მაგრამ მისი ფრაგმენტების დაბეჭდვის უფლება ინგლისურ მასმედიაში უკვე მიიღეს



ბიჭო, შენ სილუეტს რომ ვხედავ, ვერ გიტან!
პატრიკ ვიეირამ რუუდ ვან ნისტელროი შეურაცხყო

„ყველას ჰგონია, რომ ის კარგი ბიჭია, სინამდვილეში კი ძაღლიშვილია. მას ინციდენტების მთელი სერია აქვს, რომელიც საზოგადოებისთვის შეუმჩნეველი დარჩა. მან ფრედი ლიუნგბერგს მუჯლუგუნი ჰკრა, ხოლო ლორენს იდაყვი უთავაზა. ჩვენ იგი გვძულდა, რადგან საამისოდ ყველა პირობა გვქონდა. ვან ნისტელროის სილუეტსაც რომ დავინახავ, ვერ ვიტან. ის დიდებული ფეხბურთელია, რასაც ხანგამოშვებით ამტკიცებს კიდეც, მაგრამ მისი ყველაფერი მაღიზიანებს. ის დაუსრულებლად ჭიჭყინებს და ჩივის.

არიან ფეხბურთელები, რომელთაც, მიუხედავად იმისა, რომ მათ შეუძლიათ ფეხი ქაცვით გაგიხვრიტონ, პატივს ვცემ. რატომ? იმიტომ, რომ ისინი ამას ბოროტების გამო არ აკეთებენ. ისინი გულწრფელნი არიან. მაგალითად პოლ სქოულზი, რაც ძალი და ღონე აქვს იბრძვის და არც მინდორზე გორაობს კვნესითა და გმინვით. გასცემს და იღებს. ვან ნისტელროი კი იტყუება.

2003 წელს „ოლდ ტრეფორდზე“ მასთან ინციდენტის გამო გამაძევეს მოედნიდან. ორი ყვითელი ბარათი მივიღე. ამ ამბავს რომ ვიხსენებ, დღესაც სისხლი მიდუღს. წარმოიდგინეთ, ის მომეწება და მერე ეპიზოდიდან მაქსიმუმი გამოიყვანა — გაიშხლართა. მსაჯს არაფერში ვადანაშაულებ, ისიც მოტყუვდა. მე ვან ნისტელროისთან შეხებაც კი არ მქონდა ჩაფიქრებული და ცხადია, წითელ ბარათსაც არ ვიმსახურებდი.

შემდეგ, თამაში რომ დამთავრდა, ტრიბუნისქვეშა გვირაბში, გასახდელებთან, შეგობრებთან ვიდექი, როდესაც ვან ნისტელროიმ ჩაიარა. მან ჩემთან გამოლაპარაკება სცადა, რაზეც ვუპასუხე, რომ ინციდენტი ამოწურულია და სალაპარაკო არაფერი მაქვს. მაინც არ მომეშვა. მაშინ ვკითხე, გულახდილად მითხარი, იმ მომენტში მოგეკარე თუ არა, მეთქი. ამ კითხვაზე მისი პასუხი ასეთი იყო: „შენ უკლასო ხარ“.

ეს პასუხი ტორტზე შემოდებული მარწყვივით იყო. მგონი თავს აჯერებდა, რომ თვითონ ძალიან ძლიერია. გავაფრთხილე, ახლა კი მორჩი ლაპარაკს, თორემ უკვე შენ



რუუდ ვან ნისტელროის მარტინ კიოუნიც ულრენდა

ცემას ვაპირებ-მეთქი. ხელის გარტყმის პირას ვიდექით, მაგრამ მიკაელ სილვესტრმა, ფაბიენ ბარტეზმა და რობერ პირესმა გზა გადაგვიკეტეს, შუაში ჩაგვიდგნენ, ამ ეპიზოდმა კი დამარწმუნა, რომ რუუდ ვან ნისტელროი მხოლოდ მატყუარა კი არა, მხდალიც არის.

იმავე შეხვედრაში მან პენალტი ვერ გაიტანა და რეი პარლოუ, ლორენი და მარტინ კიოუნი მიახტნენ. ამის გამო „არსენალი“ ძლიერ გააკრიტიკეს. მართალიც გახლავთ, ეს მიხტომა ლამაზი სანახავი ნამდვილად არ იყო.

საერთოდ კი, უსამართლობა ის გრძნობაა, რომელიც „მანჩესტერ იუნაიტედთან“ თამაშის დროს ხშირად გვეუფლებოდა ხოლმე. თუ გნებავთ, ჩემი მონაწილეობით მათ წინააღმდეგ გამართული ბოლო ორი მატჩი გავიხსენოთ. მე ორივე უსიამოვნო მოგონებებს მიძრავს.

2004 წლის ნოემბერში ზედიზედ 49 დაუმარცხებელი თამაში გვქონდა ჩატარებული და „იუნაიტედთან“ რომ არ წაგვეგო, საიუბილეო რიცხვი გამოდიოდა. იმ შეხვედრაში ჩვენ გაგვძარცვეს. დღემდე არ მჯერა, რომ ვიხსენებ, ჩვენც ისევე რომ მოვქცეულიყავით, როგორც „იუნაიტედი“ იქცეოდა, ალბათ, რვა კაცამდე შეგვამცირებდნენ მოედანზე. განსაკუთრებული დაშინების ობიექტი ხოსე ანტონიო რეიესი გახლდათ.

რიო ფერდინანდმა ფრედი ლიუნგბერგი ისე წააქცია, გასაძევებელი იყო, მაგრამ მსაჯმა ყვითელი ბარათიც არ აჩვენა. უეინ რუნი ტყუილად გაწვა და პენალტი დაანიშნინა.

ჩვენთან შეხვედრებში გარი ნევილი ყოველთვის განსაკუთრებით უხეშობდა. მისი მსხვერპლი ხშირად რეიესი ხდებოდა.

ოქტომბერში, როდესაც ნევილმა ერთხელაც წააქცია ხოსე, მივვარდი და ვუთხარი: იცოდე, გიყურებ, ბიჭებს როგორც ეთამაშები და თუ ერთხელაც გაგიმეორებია ასეთი რამ, მოვალ და მწარედ გადაგიხდი. ამ დროს როი კინი მომვარდა. ის უნდა მომვარდნოდა კიდეც, კაპიტანი იყო და ვალდებული გახლდათ თავისი მოთამაშეები დაეცვა. მან მითხრა, ნევილისთვის თავი დამენებებინა და თუ პრობლემები მქონდა, მისთვის მეთქვა. კინი ყველაზე ვაჟკაცი მებრძოლია, ვის წინააღმდეგაც ინგლისში თამაში მომწევია. მასსა და ვან ნისტელროის, ან ნევილს შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორიც დღესა და ღამეს შორის...

პაპუნა კედია

იყიდება

ამერიკიდან ახალი ჩამოყვანილი, 1999 წელს
გამოშვებული **ISUZU RODEO** 2.2 ბენზინის
ძრავით, იდეალურ მდგომარეობაში, განბაჟებული.
ფასი შეთანხმებით. ტელ: 8 99 55 80 27



ფეხბურთის რუკასთან

იტალიას 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის ყველაზე დიდი შანსი აქვს. ეს ინფორმაცია უეფას მორიგი სხდომის შემდეგ გავრცელდა. აპენინელთა კონკურენტები პოლონეთ-უნგრეთისა და ხორვატია-უკრაინის წყვილები არიან. თურქეთსა და საბერძნეთს კი უეფამ მოულოდნელად უარი შეუთვალა. „2006 წლის მაისში კანდიდატთა სიას კიდევ ერთხელ გადავხედავთ, ხოლო დეკემბერში საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებთ“ — თქვა უეფას გენერალურმა მდივანმა ლარს-კრისტერ ოლსონმა.

ფრანგი ნახევარმცველი რობერ პირესი შესაძლოა, იანვარში „ფიორენტინაში“ გადაბარგდეს. ფლორენციელთა თავკაცი ჩეზარე პრანდელი 32 წლის ფეხბურთელს ძალიან აფასებს და ცდილობს, ხელში ჩაიგდოს. თავის მხრივ, პირესი კლუბს ახალ კონტრაქტზე ვერ უთანხმდება და საცაა, „არსენალს“ დატოვებს.

ესპანური „ბეტისის“ ნახევარმცველ ხოაკინით კვლავ მრავალი გრანდია დაინტერესებული. ამბობენ, სევილიელები ფეხბურთელში 18 მილიონ ევროს ითხოვენო. მსურველთა შორის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური „ლივერპული“ ყოფილა. მერსისაიდელები „ბეტისისთვის“ ხოაკინის ნაცვლად ფერნანდო მორიენტესის შეთავაზებას აპირებენ.

იტალიური „კალიარის“ მწვრთნელად ჯერჯერობით ისევ დავიდე ბალარდინი რჩება. სარდინიელთა ხელმძღვანელობამ მისი მოხსნის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია უარყო და ბალარდინის გაშვება გადაიფიქრა. თუმც ამ უკანასკნელს წყალი მაინც შემდგარი აქვს. მის სავარაუდო შემცვლელად ჯუზეპე პაპადოპულოსა და კარლო მაცონეს ასახელებენ. კანდიდატებს შორისაა დანიელე არიგონიც, რომელმაც ბოლო სამ თვეში ორჯერ მოასწრო „კალიარის“ თავკაცობა.

ბელგიური „სენტ ტრუიდენი“ ეგებ მატჩების ჩაწყობაში ამხილონ. ცნობილმა ბრიტანულმა ბუქმეიკერულმა კანტორამ **BETFAIR** განაცხადა, რომ 29 ოქტომბერს „სენტ ტრუიდენის“ წაგებაზე „ლუვენისთან“ (1:3) უჩვეულოდ დიდი ფსონი გაკეთდა — 600 ათასი ევრო. ხოლო 5 ნოემბერს, „სენტ ტრუიდენის“ „ბრიუგესთან“ დამარცხებაზე (1:2) 230 ათასი ევრო. არადა ბელგიის ჩემპიონატზე მაქსიმალური ფსონი აქამდე მხოლოდ 25 ათასი ყოფილა. „სენტ ტრუიდენის“ პრეზიდენტმა როლან დიუშატელემ უკვე დაიწყო კლუბში გამოძიება. ფეხბურთელთა კონტრაქტებში კი დამატებითი პუნქტი ჩაამატა — თუ რომელიმე მათგანი ამ საქმეში გარეული გამოდგა, მას უყოყმანოდ დაატოვებინებენ გუნდს.

უნგრული „ფერენცვაროში“ ახალ მწვრთნელს ეძებს — ლასლო ჩაბუ პოსტიდან ეროვნულ ჩემპიონატში ცუდი დასაწყისისთვის დაითხოვეს. უნგრეთის 28-გზის ჩემპიონს 11 ტურში ოდენ 10 ქულა აქვს და მე-12 ადგილზეა.

იტალიურ „ტრევიზოს“ ამიერიდან „ფიორენტინასა“ და „ლეჩეს“ ყოფილი მწვრთნელი ალბერტო კავაზინი უთავკაცებს. აღსანიშნავია, რომ „ტრევიზო“ კავაზინის მშობლიური კლუბია. მას ამ პოსტზე 1990-93 წლებშიც უმუშავია, ხოლო სიყრმეში სწორედ „სტადიო ტენიზე“ ბურთაობდა. მოგეხსენებათ, მან ეციო როსი შეცვალა.

ინგლისური „ლივერპულის“ კაპიტანმა სტივენ ჯერარდმა განაცხადა, რომ სათამაშო კარიერის დასრულების შერეც „ენფილდზე“ დარჩენას აპირებს. „ყოველთვის ვფიქრობ იმაზე, თუ რას გავაკეთებ, როცა თამაშს თავს დავანებებ. მინდა, „ლივერპულში“ რაც შეიძლება, მეტ ხანს დავრჩე. ჩემი აზრით, ღირს, მწვრთნელობა ან მენეჯერობა ვცადო“ — თქვა ჯერარდმა.

ესპანური „სელტას“ ბრაზილიელ მცველ ევერტონ ჯოვანელას ორწლიანი დისკვალიფიკაცია ძალაში დაუტოვეს, თუმც ვიგოელთა პრეზიდენტი საბინო ლოპესი კიდევ ერთი აპელაციის შეტანას აპირებს. მოგეხსენებათ, ჯოვანელა შარშან დოპინგზე ჩავარდა.

ინგლისური „ბირმინგემის“ ჩეხ ლეგიონერ ირჟი იაროშიკს მოსკოვის ცსკა-ში დაბრუნება სურს. „ერთია, მოსკოველებთან ერთად ევროთასებზე რეგულარულად თამაში და მეორე, „ბირმინგემში“ გადარჩენისთვის ბრძოლა. თანაც ცსკა-ში გაცილებით უკეთესი პირობებია. ჩემი ნება რომ იყოს, მოსკოვში დაუფიქრებლად დავბრუნდებოდი, იქ ხომ კარიერის საუკეთესო წლები გავატარე“ — თქვა იაროშიკმა.

www.betfair.com

- მსოფლიოში უდიდესი კოეფიციენტები
- ცოცხალი თამაში
- მოგება თამაშის დაწყებამდეც კი
- ყველაფერი – სახლიდან გაუსვლელად

!

მაგალითისთვის:

ურუგვაი – ავსტრალია 1,64 3,8 7,6

თუ უკეთეს კოეფიციენტებს ნახავთ, არ დაგვირეკოთ!

Tel: 39 33 26; 39 33 27

ყოველდღე კვირის გარდა





ხორხე ფოსატის და გუს ჰიდინკს ერთმანეთთან გასაყოფი არაფერი აქვთ

URUGVAI SAM TVITMFRINAVSHI DAEPIA

ავსტრალიის ნაკრების მწვრთნელმა გუს ჰიდინკმა თქვა, ურუგვაისთან სამტრო არაფერი გვაქვსო. მოგეხსენებათ, ეს გუნდები მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურისთვის პლეი ოფში დაეჯახებიან. პირველი მატჩი 12 ნოემბერს მონტევიდეოში, საპასუხო კი 16-ში სიდნეიში გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ წინა (2002) მუნდიალზე მოსახვედრად 2001 წლის შემოდგომაზე პლეი ოფში ურუგვაიმ ავსტრალიას ორი მატჩის ჯამში 3:1 მოუგო. მაშინ მონტევიდეოში ჩასულ „ოზებს“ იქაურმა ფანებმა შეურცხმყოფელი დახვედრა მოუწყვეს. აეროპორტში აფურთხეს და საცემადაც კი გაიწიეს.

ამჯერად ავსტრალიელები არგენტინის დედაქალაქ ბუენოს აირესში „დაბანაკდნენ“. მატჩის წინადღეს ჩავლენ მონტევიდეოში და თამაშის შემდეგ ეგრევე სამშობლოში დაბრუნდებიან.

„ბევრს საუბრობენ მტრობაზე, მაგრამ ჩვენ და ურუგვაის ფეხბურთის ფედერაციას კარგი ურთიერთობა გვაქვს — თქვა ჰიდინკმა — ჩვეულებრივი ამბავია, როცა მასპინძელი გუნდის ქომაგები მეტოქის მიმართ აგრესიულები არიან, მაგრამ ზღვარს არ უნდა გადააბიჯონ. ურუგვაელებს მაღალი კლასის გამოცდილი ფეხბურთელები ჰყავთ, რომლებიც ევროპის საუკეთესო გუნდებში თამაშობენ“.

ავსტრალიელები 1974 წლის შემდეგ მუნდიალზე მოხვედრას ამაოდ ცდილობენ. ისინი ოთხჯერ დამარცხდნენ პლეი ოფში: შოტლანდიასთან (1985), არგენტინასთან (1993), ირანთან (1997) და ურუგვაისთან (2001). ოზი ფეხბურთელების აზრით, გუნდი ახლა გაცილებით ძლიერია, ვიდრე ოთხი წლის წინ იყო.

ურუგვაელთა მწვრთნელი ხორხე ფოსატი კი გაოგნებულია ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით — გუნდი სამ ნაწილად დაყვეს და ისე გაემგზავრება სიდნეიში საპასუხო მატჩისთვის. რამდენიმე ფეხბურთელი, რომლებიც დისკვალიფიკაციის გამო შაბათის შეხვედრას გამოტოვებენ, გუშინ გაფრინდა ავსტრალიაში. მეორე ნახევარი მატჩის შემდეგ, შაბათ საღამოს გაემგზავრება, დანარჩენები კი სიდნეიში თამაშის დაწყებამდე 36 საათით ადრე ჩავლენ, რადგან მათი რეისი რეისების უკმარისობის გამო კვირასაა. ბიზნესკლასის ბილეთები უკვე გაყიდულია და ეკონომკლასით მგზავრობა მოუწევთ.

„ახლა გარჩევის დრო აღარაა — თქვა გაოცებულმა ფოსატიმ — მატჩზე უნდა ვიფიქროთ“. მედია კი ფედერაციის უთავბოლოობაში ადანაშაულებს, რადგან ნაკრებს ჩარტერი ვერ გაუხერხა. გარდა ამისა, ფედერაციამ სხვადასხვა მიზეზების გამო მატჩის დაწყების დრო სამჯერ შეცვალა, რამაც ურუგვაელებიც გააბრაზა და ავსტრალიელებიც.

ვაჟა ხუციშვილი

PROFESIOROBA AR GVINDA

„პორტსმუთის“ მწვრთნელ ალენ პერენს სკამი შეუჯანჯღარეს. მისმა გუნდმა 12 ტურში ორ მატჩზე მეტი ვერ მოიგო და პრემიერლიგიდან გავარდნის ერთ-ერთი კანდიდატია.

ბრიტანული მედიის ცნობით, შესაძლოა, ფრანგი „შეფილდ იუნაიტედის“ თავკაცმა ნილ უორნოკმა შეცვალოს. შეფილდელები ინგლისის ჩემპიონატს ლიდერობენ და პრემიერლიგაში აღზევების შანსი აქვთ.

„ჩემთვის „პორტსმუთის“ მწვრთნელობა არავის შემოუთავაზებია, სამუშაო აქაც არ მაკლია“ — განაცხადა უორნოკმა, რომლის კონტრაქტიც სეზონის ბოლოს იწურება, მაგრამ გახანგრძლივებას ჯერ არ აპირებს.

ალენ პერენმა „პორტსმუთი“ შვიდი თვის წინ ველიმირი ზაიეცისგან ჩაიბარა და გუნდი ჩაქვეითებისგან იხსნა. კლუბის პატრონმა მილან მანდარიჩმა გარჯა სამწლიანი კონტრაქტით დაუფასა, თუმც ამ შემოდგომაზე ფრანგმა საქმეს თავი ვერ გაართვა და მოხსნას უპირებენ.

სერბი მილიონერი მილან მანდარიჩი ამჟამად ამერიკაშია: „პერენი კარგი მწვრთნელია, მაგრამ ახლა პროფესორობის კი არა, ბრძოლის დროა“ — განაცხადა მან. გამორიცხულია არაა, ფრანგი მწვრთნელი კლუბის სპორტული დირექტორის ადგილზე გადაიყვანონ, რომელიც ველიმირ ზაიეცს ეკავა და ახლა ვაკანტურია.

აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ, რაც „პორტსმუთი“ სერბმა შეიძინა, გუნდში მწვრთნელი შვიდჯერ შეცვალა.

ვაჟა ხუციშვილი

კატასტროფის შემდეგ

გაელ გივე: ლიონს ჯერ ვერ შეგეჯრებით

იცით, როგორ იყო? როდესაც „მონაკოს“ ყოფილ მწვრთნელს, დიდიე დეშანსა და კლუბის ხელმძღვანელებს შორის ურთიერთობა დაიძაბა, სათავადოს გუნდში ყველაფერი მოირყა და ერთ დიდ კოშმარს დაემსგავსა. შეფების ვნებათაღელვას აყვნენ ფეხბურთელებიც, რომელთაც ისეთი ქცევა დაიწყეს, რომ დეშანის სამსახურიდან ნასვლის შემდეგ დროებით ხელმძღვანელად დარჩენილმა ჟან პეტიმ ჟურნალისტებს გამწარებით უთხრა: „თუ ამ ხალხს ჩხუბი უნდა, დასცხონ, მე კი რეფერი ვიქნები“. შემდეგ კი „მონაკოს“ მწვრთნელად მივიდა იტალიელი ფრანჩესკო გვიდოლინი და ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ საქმის გამოსწორება დაიწყო. შედეგი: ბოლო ტურში „მონაკო“ პარიზში ჩავიდა და „პარი სენ ჟერმენის“ წინააღმდეგ ფეხბურთელთა ერთსულოვანი ბრძოლის მაგალითი აჩვენა. შეხვედრა დასრულდა ფრედ 0:0. ამ მატჩის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე გახლდათ საგრაფოელთა მცველი გაელ გივე, რომელმაც ცნობილი პორტუგალიელი პედრუ პაულეტა „ჩაკეტა“. ქვემოთ, დეშანისშემდგომ, გვიდოლინისეულ ეპოქაზე სწორედ გივე საუბრობს

— „პარი სენ ჟერმენთან“ ფრემ დაკაყმაყოფილათ?

— ჩინებული შედეგია. ამ სეზონში „პარკ დე პრენსიდან“ ქულის წამოღება ბარე ორ გუნდს გაუჭირდება. მეორე ტაიმში უფრო გავძლიერდით და მოგების შანსიც კი გვქონდა. მგონი, მოედნის ბოლო მესამედში უფრო თავდაჯერებულნი რომ ვყოფილიყავით, მოგებისთვის საჭირო გოლს გავიტანდით, მაგრამ ისიცაა, რომ „პარი სენ ჟერმენის“ ფეხბურთელებისგან ნებისმიერ წამს შეიძლება გაუშვა კიდეც. ერთი სიტყვით, თან იმის თქმაც შეიძლება, რომ მოგებას ვიმსახურებდით და თან ფრითაც მადლობელნი უნდა დავრჩეთ.

— ამ სეზონის „მონაკო“ და „პარი სენ ჟერმენი“ შეადარეთ...

— მგონი კვირასაც კარგად გამოჩნდა, რომ ამ ორ გუნდს შორის დიდი განსხვავება არ არის. როგორც ჩვენ, ასევე პარიზელები ხელახალი აღმშენებლობის გზაზე ვართ და ამიტომ, ამ ეტაპზე „ლიონს“ ჩამოუვარდებით. „ლიონის“ ბადალი გუნდი დღეს საფრანგეთში მართლა არ არის. „პარი სენ ჟერმენმა“ სეზონის დასაწყისში რამდენიმე მშვენიერი მოთამაშე იყიდა და ჩემპიონატის სტარტიც შესანიშნავი ჰქონდა, მაგრამ სტაბილურ გუნდად ჩამოყალიბებას დრო სჭირდება.

— თქვენი აზრით, „მონაკო“ ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ადგილის მოპოვებაში „პარი სენ ჟერმენს“ ხელს შეუშლის?

— იმედი მაქვს. მართალია, ამწუთას ცხრილის შუასთან უფრო ახლოს ვართ, ვიდრე ლიდერებთან, მაგრამ მიზნად სწორედ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა გვაქვს დასახული. მგონი, ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ჩვენი შედეგები ნელ-ნელა სტაბილური ხდება. თუ ჩვენ ასეთი ტემპით განვაგრძობთ განვითარებას, ალბათ ლიდერებთან კონკურენციას შევძლებთ.

— რა შეიცვალა „მონაკოში“ მას მერე, რაც იგი დიდიე დაშანმა დატოვა?

— მართალია, ფრანჩესკო გვიდოლინი თავის სტილს ამკვიდრებს, მაგრამ ყოვლისმომცველი ცვლილებები მაინც არ ყოფილა. ისე, ვფიქრობ, გვიდოლინის ხელში პროგრესი გვაქვს. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ მან გუნდური სულისკვეთება დაგვიბრუნა. გვიდოლინის ჩამოსვლის დროს რაც აქ ხდებოდა, უბრალოდ, კატასტროფა იყო და მეტი არაფერი. საბედნიეროდ, ახალმა მწვრთნელმა მალევე შეძლო პასუხისმგებლობების განაწილება და ხალხის ბრძოლისთვის მომართვა.

— არადა, მართლაც რთული თვე გაქვთ: „მონაკოს“ მომავალი ორი მეტოქე „სენტ ეტიენი“ და „მარსელია“...

— დიახ, რთული მატჩები გველის და ამიტომ მომენტის დაჭერა გვჭირდება. ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი მოთამაშეების ჯანმრთელობაც. თუ დაშავებული არავინ გვყავს, გუნდი მართლაც შთამბეჭდავია, მაგრამ სამწუხაროდ, ამ სეზონში ტრავმიანობა გვაწუხებს. ბოლო პერიოდში თითქოს ამ მხრივ საქმე უმჯობესდებოდა, მაგრამ ახლა ხერარდ ლოპესმა მიიღო მძიმე ტრავმა. ეს მისთვისაც დიდი დარტყმაა და „მონაკოსთვისაც“, რადგან ხერარდი ჩვენი გუნდის ერთ-ერთი მთავარი მოთამაშეა.

— კუნძულ მარტინიკაზე საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში გამგზავრებას როგორ უყურებთ?

— ბედნიერი ვარ, ნაკრებში რომ დამბრუნეს. დღეს შესარჩევი ეტაპი მორჩა და ყველა თვით ჩემპიონატზე ფიქრობს. მეც ასე ვარ და მინდა, ყველა ღონე ვიხმარო, რათა მუნდიალის მონაწილე გავხდე. რაც შეეხება მარტინიკაზე გადაფრენას, დიახ, ეს დიდი გზაა, მითუფრო ჩემთვის, როდესაც ფეხები დაღლილი მაქვს, მაგრამ ნაკრები ძლიერდება და თან, როდესაც საფრანგეთის მაისურას იცვამ, დაღლას მნიშვნელობა ეკარგება.

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ინგლისი
I ლიგა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		11 ნოემბერი						
23:45	3	სუინდონი-ბრისტოლი	2.40	3.00	2.70	1.33	1.27	1.42
		12 ნოემბერი						
19:00	4	ბორნმუთი-ნოტინგემი	2.30	3.10	2.75	1.32	1.25	1.45
18:00	5	ბრედფორდი-ბარნსლი	2.15	3.20	3.00	1.28	1.25	1.54
17:00	6	ჩესტერფილდი-პორტ ვეილი	2.05	3.10	3.20	1.23	1.24	1.57
19:00	7	ჰარტლპული-ბრენტფორდი	2.30	3.10	2.75	1.32	1.25	1.45
18:00	8	როტერჰემი-კოლჩესტერი	2.20	3.20	2.90	1.30	1.25	1.52
18:00	9	საუთენდი-სუონსი	2.10	3.10	3.15	1.25	1.25	1.56
18:00	10	ტრანმერი-დონსი	1.85	3.20	3.70	1.17	1.23	1.71
19:00	11	უოლსოლი-ჯილინგემი	1.85	3.20	3.75	1.17	1.23	1.72
18:00	12	იოვილი-ჰადერსფილდი	2.40	3.20	2.65	1.37	1.25	1.44
		13 ნოემბერი						
18:00	13	ოლდემი-დონკასტერი	2.10	3.20	3.00	1.26	1.23	1.54
20:00	14	ბლეკპული-სკანთორპი	2.50	3.10	2.45	1.38	1.23	1.36

ინგლისი
II ლიგა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		11 ნოემბერი						
23:45	15	მენსფილდი-ბერი	1.95	3.20	3.40	1.21	1.23	1.64
23:45	16	რაშდენი-ბოსტონი	2.55	3.10	2.45	1.39	1.24	1.36
23:45	21	გრიმსბი-მაკლსფილდი	1.60	3.40	5.00	1.08	1.21	2.02
		12 ნოემბერი						
18:00	17	როვერსი-როჩდეილი	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
18:00	18	ნოტსი-ჩელტენემი	2.00	3.10	3.35	1.21	1.25	1.61
18:30	19	დარლინგტონი-უიკომბი	2.55	3.10	2.45	1.39	1.24	1.36
19:00	20	ჩესტერი-ნორთჰემპტონი	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
19:00	22	ლინკოლნი-შრიუსბერი	1.95	3.20	3.40	1.21	1.23	1.64
19:00	23	ოქსფორდი-რექსემი	2.10	3.00	3.30	1.23	1.28	1.57
19:00	24	პიტერბრო-ლეიტონი	2.40	3.20	2.65	1.37	1.25	1.44
19:00	25	ტორკი-კარლაილი	2.45	3.10	2.55	1.36	1.24	1.39
		13 ნოემბერი						
17:30	26	სტოკპორტი-ბარნეტი	2.20	3.10	2.90	1.28	1.25	1.49

ინგლისი
კონფერენსი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		12 ნოემბერი						
16:00	28	გრეისი-აკრინგტონი	1.70	3.30	4.20	1.12	1.21	1.84
19:00	29	ალდერშოტი-გრეივსენდი	2.10	3.30	3.00	1.28	1.23	1.57
19:00	30	ალტრინჰემი-ექსეტერი	2.85	3.30	2.15	1.52	1.22	1.30
19:00	31	ქროული-საუთპორტი	2.05	3.20	3.10	1.24	1.23	1.57
19:00	32	ფორესტ გრინი-კონვი	2.25	3.30	2.75	1.33	1.23	1.50
19:00	33	ჰალიფაქსი-დაგ ენდ რედი	1.70	3.40	4.30	1.13	1.21	1.89
19:00	34	ჰერეფორდი-უოკინგი	1.95	3.30	3.30	1.22	1.22	1.64
19:00	35	მორიკომბი-კემბრიჯი	1.65	3.40	4.50	1.11	1.20	1.93
19:00	36	სტივენეიჯი-კიდერმინსტერი	1.70	3.40	4.20	1.13	1.21	1.87
19:00	37	ტემუორთი-სკარბორო	2.10	3.20	3.00	1.26	1.23	1.54

შოტლანდია. I დივიზიონი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		12 ნოემბერი						
19:00	38	ერდრი-ჰამილტონი	2.75	3.30	2.15	1.50	1.20	1.30
19:00	39	ბრეჩინი-როსი	4.00	3.50	1.65	1.86	1.16	1.12
19:00	40	კლაიდი-სტ.მირენი	2.65	3.30	2.20	1.46	1.20	1.32
19:00	41	დანდი-სტ.ჯონსტონი	2.55	3.30	2.30	1.43	1.20	1.35
19:00	42	ქუინი-სტრანრარი	2.40	3.30	2.50	1.38	1.22	1.42

შოტლანდია. II დივიზიონი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		12 ნოემბერი						
19:00	43	ალოა-მორტონი	5.00	3.70	1.50	2.12	1.15	1.06
19:00	44	ეარი-რეითი	2.65	3.30	2.25	1.46	1.21	1.33
19:00	45	დამბარტონი-ფორფარი	2.05	3.40	2.90	1.27	1.20	1.56
19:00	46	პარტიკი-გრეტნა	4.20	3.40	1.65	1.87	1.18	1.11
19:00	47	პიტერჰედი-სტირლინგი	2.10	3.40	2.90	1.29	1.21	1.56

შოტლანდია. III დივიზიონი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		12 ნოემბერი						
19:00	48	ალბიონი-ელგინი	2.00	3.50	2.90	1.27	1.18	1.58
19:00	49	არბროთი-ბერიკი	4.00	3.50	1.65	1.86	1.16	1.12
19:00	50	ისტ ფაიფი-სტენჰაუზმური	2.70	3.40	2.20	1.50	1.21	1.33
19:00	51	ისტ სტირლინგი-ქუინზ პარკი	3.50	3.40	1.80	1.72	1.18	1.17
19:00	52	მონტროუზი-კოუდენბითი	3.50	3.40	1.80	1.72	1.18	1.17

იტალია. სერია B

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		11 ნოემბერი						
23:45	73	კრემონეზე-ატალანტა	3.70	2.90	2.00	1.62	1.29	1.18
		13 ნოემბერი						
18:00	74	ალბინოლეფე-ჩეზენა	2.55	2.80	2.70	1.33	1.31	1.37
18:00	75	აველინო-პესკარა	2.10	2.80	3.50	1.20	1.31	1.55
18:00	76	ბრეშა-პიაჩენცა	1.80	2.90	4.50	1.11	1.28	1.76
18:00	77	კატანძარო-ბარი	2.50	2.90	2.70	1.34	1.29	1.39
18:00	78	რიმინი-კატანია	2.35	2.80	3.00	1.27	1.31	1.44
18:00	79	ტერნანა-კროტონე	2.40	2.80	2.90	1.29	1.31	1.42
18:00	80	ტორინო-მოდენა	1.95	2.90	3.90	1.16	1.29	1.66
18:00	81	ტრიესტინა-არეცო	2.35	2.80	3.00	1.27	1.31	1.44
18:00	82	ვიჩენცა-ვერონა	2.40	2.80	2.90	1.29	1.31	1.42
		14 ნოემბერი						
23:45	83	ბოლონია-მანტოვა	2.40	2.80	2.90	1.29	1.31	1.42

ესპანეთი. II დივიზიონი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		13 ნოემბერი						
21:00	103	ალმერია-ფეროლი	1.90	3.00	4.00	1.16	1.28	1.71
21:00	104	კასტელონი-ეხიდო	2.25	2.90	3.10	1.26	1.30	1.49
21:00	105	სიუდადი-ვალიადოლიდი	2.35	2.90	2.95	1.29	1.30	1.46
21:00	106	ტარაგონა-ლეიდა	1.85	3.00	4.00	1.14	1.26	1.71

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:00	107	ჰერკულესი-ეიბარი	1.90	3.00	3.90	1.16	1.27	1.69
21:00	108	მალაგა ბ-მურსია	2.70	2.90	2.50	1.39	1.29	1.34
21:00	109	ნუმანსია-ლევანტე	2.20	2.90	3.20	1.25	1.30	1.52
21:00	110	რეალი(ბ)-ელჩე	2.40	2.90	2.85	1.31	1.30	1.43
21:00	111	უელვა-ალბასეტე	1.80	3.10	4.20	1.13	1.25	1.78
21:00	112	ტენერიფე-სპორტინგი	1.90	3.00	3.80	1.16	1.26	1.67
21:00	113	სერესი-ლორკა	1.70	3.10	4.70	1.09	1.24	1.86

საფრანგეთი

I დივიზიონი

11 ნოემბერი

23:00	114	აიაჩო-ლანსი	2.65	2.70	2.85	1.33	1.37	1.38

საფრანგეთი. II დივიზიონი

11 ნოემბერი

23:30	116	ამიენი-გენგამი	1.85	2.80	4.50	1.11	1.31	1.72
23:30	117	ბასტია-გენიონი	1.60	3.20	6.00	1.06	1.26	2.08
23:30	118	შატორუ-დიუონი	1.95	2.80	4.00	1.14	1.31	1.64
23:30	119	კრეტეი-ისტრი	1.85	2.90	4.50	1.12	1.31	1.76
23:30	120	ლავალი-სედანი	2.75	2.80	2.45	1.38	1.29	1.30
23:30	121	მონპელიე-გრენობლი	2.15	2.80	3.40	1.21	1.31	1.53
23:30	122	რეიმსი-კლერმონი	2.10	2.70	3.80	1.18	1.35	1.57
23:30	123	ვალენსიენი-სეტე	1.60	3.00	6.20	1.04	1.27	2.02
23:35	124	ლე ავრი-კაენი	2.20	2.80	3.30	1.23	1.32	1.51

14 ნოემბერი

23:30	125	ბრესტი-ლორიანი	2.30	2.70	3.10	1.24	1.32	1.44

ბელგია. II დივიზიონი

12 ნოემბერი

18:00	127	ეუპენი-დაინცე	1.70	3.20	4.40	1.11	1.22	1.85

13 ნოემბერი

18:00	128	კორტრაიკი-ჰეუსდენი	1.65	3.30	4.50	1.10	1.20	1.90

ჰოლანდია. II დივიზიონი

10 ნოემბერი

23:00	129	მაასტრიხტი-ოსი	1.80	3.30	3.70	1.16	1.21	1.74

11 ნოემბერი

23:00	130	ვეენდამი-კამბური	1.65	3.50	4.30	1.12	1.19	1.92
23:00	131	გრააფსხაპი-ალმერე	1.35	4.20	7.50	1.02	1.14	2.69
23:00	133	დორდრეხტი-ემენი	2.55	3.20	2.35	1.41	1.22	1.35
23:00	134	ეინდჰოვენი-სიტარდი	1.70	3.40	4.30	1.13	1.21	1.89
23:00	135	ექსელსიორი-ტელსტარი	1.45	3.60	6.30	1.03	1.17	2.29
23:00	136	იგლსი-აპელდორნი	2.00	3.30	3.20	1.24	1.23	1.62
23:00	137	ჰაარლემი-ზვოლე	3.30	3.30	1.90	1.64	1.20	1.20
23:00	138	ვოლენდამი-ჰელმონდი	1.85	3.40	3.50	1.19	1.21	1.72

ბრაზილია

12 ნოემბერი

23:45	195	ბოტაფოგო-პარანა	1.90	3.30	3.50	1.20	1.23	1.69
23:45	196	ფიგეირენსე-ფორტალესა	1.55	3.60	4.80	1.08	1.17	2.05
23:45	197	გოიასი-ატლეტიკო პრ	1.80	3.30	3.60	1.16	1.20	1.72
23:45	198	პაისანდუ-ატლეტიკო მნ	1.65	3.40	4.30	1.11	1.19	1.89

13 ნოემბერი

22:00	199	კურიტიბა-კორინთიანსი	2.90	3.30	2.10	1.54	1.21	1.28
22:00	200	პალმეირასი-სან პაულუ	1.80	3.30	3.65	1.16	1.20	1.73
22:00	201	პონტე პრეტა-ფლამენგო	2.05	3.30	3.10	1.26	1.23	1.59
23:45	202	კრუზეირო-ბრაზილენსე	1.35	4.20	7.00	1.02	1.13	2.62
23:45	203	ჟუვენტუდი-სან კაეტანო	1.85	3.20	3.80	1.17	1.24	1.73
23:45	205	ვასკუ და გამა-ფლუმინენსე	2.50	3.20	2.40	1.40	1.22	1.37

			1	X	2	1-X	1-2	X-2

მჩ. შესარჩევი მატჩები (პლეი ოფი)

12 ნოემბერი

22:30	209	ნორვეგია-ჩეხეთი	3.00	3.00	2.30	1.50	1.30	1.30
23:45	210	შვეიცარია-თურქეთი	2.30	2.90	3.20	1.28	1.33	1.52
23:45	211	ესპანეთი-სლოვაკეთი	1.30	4.30	10.00	1.00	1.15	3.00
23:45	212	ტრინიდადი-ბაჰრეინი	1.70	3.20	5.00	1.11	1.26	1.95
23:45	213	ურუგვაი-ავსტრალია	1.50	3.70	6.00	1.06	1.20	2.28

ამხანაგური მატჩები

12 ნოემბერი

15:00	216	სამხრეთ კორეა-შვედეთი	2.45	3.10	2.50	1.36	1.23	1.38
16:30	217	ფინეთი-ესტონეთი	1.55	3.40	5.50	1.06	1.20	2.10
20:00	219	შოტლანდია-აშშ	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
20:45	220	ინგლისი-არგენტინა	2.80	3.10	2.30	1.47	1.26	1.32
21:30	221	საამიროები-ბრაზილია	9.50	4.80	1.25	3.18	1.10	1.00
23:45	222	ჰოლანდია-იტალია	2.05	3.20	3.20	1.24	1.24	1.60
23:45	223	საფრანგეთი-გერმანია	1.85	3.10	4.00	1.15	1.26	1.74
23:45	224	პორტუგალია-ხორვატია	1.65	3.20	5.00	1.08	1.24	1.95

ეჩ. შესარჩევი მატჩები(21) (პლეი ოფი)

11 ნოემბერი

22:45	227	ჩეხეთი(21)-გერმანია(21)	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
23:30	228	ინგლისი(21)-საფრანგეთი(21)	2.00	3.20	3.40	1.23	1.25	1.64
23:30	229	უნგრეთი(21)-იტალია(21)	4.00	3.40	1.75	1.83	1.21	1.15

12 ნოემბერი

20:00	230	რუსეთი(21)-დანია(21)	2.20	3.20	3.00	1.30	1.26	1.54
20:00	231	უკრაინა(21)-ბელგია(21)	1.80	3.40	4.00	1.17	1.24	1.83
23:00	232	სერბია(21)-ხორვატია(21)	1.95	3.20	3.50	1.21	1.25	1.67

13 ნოემბერი

17:30	233	შვეიცარია(21)-პორტუგალია(21)	2.90	3.10	2.25	1.49	1.26	1.30
21:45	234	სლოვენია(21)-ჰოლანდია(21)	4.60	3.30	1.70	1.92	1.24	1.12

ბელგია. თასი

10 ნოემბერი

23:30	246	ანდერლეხტი-ვეელი	1.10	7.00	13.00	1.00	1.01	4.55

საბერძნეთი. თასი

10 ნოემბერი

18:00	255	პანაპაიკი-ირაკლისი	4.50	3.30	1.65	1.90	1.20	1.10
21:00	258	პანილიაკოსი-ოლიმპიაკოსი	15.00	7.00	1.10	4.77	1.02	1.00
21:00	487	ტრასივულოსი-აგრომიტოსი	3.70	3.10	1.90	1.68	1.25	1.17

პოლონეთი. თასი

11 ნოემბერი

16:00	357	ჰეტმანი-ლეგია	7.50	4.30	1.30	2.73	1.10	1.00

როიალ ლიგა

10 ნოემბერი

23:35	358	კალმარი-ბრიონდბიუ	2.55	3.20	2.60	1.41	1.28	1.43

კალათბურთი. ევროლიგა

10 ნოემბერი

22:00	481	სტრასბური-ბენეტონი	3.00	12.00	1.30	2.40	1.00	1.17
22:45	482	ჟალვირისი-ტაუ	2.20	12.00	1.60	1.85	1.00	1.41
22:45	483	ოლიმპიაკოსი-მაკაბი	3.50	12.00	1.20	2.70	1.00	1.09
22:45	484	ეფესი-ბარსელონა	1.70	12.00	2.00	1.48	1.00	1.71

კრივი

12 ნოემბერი

23:00	501	ს.სამი-ო.მასკაევი	1.30	15.00	3.00

ფაჩულიამ ბოისას ლიდერობა ჩამოართვა



ზაზა ფაჩულია „ატლანტაში“ სტაბილურად ათამაშდა

უილიამსი ბარსელონაშიც უილიამსობს

თუ გასულ სეზონში ლეგიონერთა მიმოხილვის რუბრიკას ვლადიმერ ბოისა წინამძღოლობდა და ძირითადად მის საჩინო თამაშის შესახებ გვიწევდა წერა, ახლა ვითარება შეიცვალა.

მოგეხსენებათ, ბოისა „ოლიმპიადან“ იტალიურ გრანდ „სიენაში“ გადაბარგდა და გუნდში ჯერ არ გაშინაურებულა, ხოლო ამასობაში ათამაშდა ზაზა ფაჩულია, რომელიც შარშან საკმაოდ მოკრძალებული იყო.

თუ ბოისას შედეგიანობას გუნდის გამოცვლა არ წაადგა, ფაჩულიაზე ამას ვერაფრით ვერ ვიტყვით. „მილუოკიდან“ „ატლანტაში“ გადასვლამ და, რა თქმა უნდა, დიდმა მონდომებამ ფაჩულიას ძირითად ხუთეულში დაუბევა ადგილი. ზაზამ მწვრთნელის ნდობა გაამართლა და აგერ უკვე მეოთხე მატჩია, ათქულიან ზღვარს არ ჩამოსცდენია.

სამწუხაროდ, მეორე ნბა-ელი ქართველი, ნიკოლოზ ცქიტიშვილი ვერაფრით გვახარებს. ის კი არა, ნიკა რეგულარული ჩემპიონატის არც ერთ მატჩში არ გამოჩენილა. თუ აქამდე ის განაცხადში მაინც იყო, ბოლო მატჩში ცქიტიშვილის გვარი იქაც ვერ ვიპოვეთ.

ბებერ კონტინენტზე ხუთჯვაროსნებს დროშა დაშვებული აქვთ. ერთი, ისიც მხოლოდ პასპორტით ქართველი მოთამაშე იმსახურებს ყურადღებას.

შემონდ უილიამსმა გასულ კვირაში ორი მატჩი ჩაატარა და თუ ევროლიგაში ცოტა მოკრძალებული იყო, ესპანეთის ჩემპიონატში გამოიჩინა თავი.

უილიამსმა „ლეჩესთან“ მთელი 40 წუთი მოედანზე დაყო და პირადსაბარსელონო რეკორდიც გამოაცხო — 24 ქულა.

სხვა რა, ბევრიც არაფერი, დავით იმნაძის 9-ქულიან მატჩს თუ გამოვარჩევთ.

იმნაძე სლოვაკურ „პრეძევში“ სისტემატიურად კი თამაშობს, მაგრამ ეს გუნდი შეხვედრას შეხვედრაზე აგებს და ჩემპიონატში უიმედო აუტსაიდერია.

დაბოლოს, აზერბაიჯანში მობურთალ ჩვენიანებზეც ვთქვათ. გალეულმა ზვიად ბაბიაშვილმა ფიბას თასზე რუსული „ურალ გრეიტის“ წინააღმდეგ მხოლოდ 6 წუთი ითამაშა და ორ ქულასთან ერთად 3 მოხსნის მოხვეჭაც მოასწრო. დავით ბარბაქაძე სათადარიგო იყო და მოედანზე არ გამოჩენილა.

ირაკლი პერტაია

სახელი გვარი	გუნდი	ტურნირი	მეტოქე	სად	ანგარიში	წთ	ქ	მ	პ
ვლადიმერ ბოისა	სიენა	სერია A	ცსკა მილანი	ს შ	74:69 73:60	13 არ უთამაშია	0	0	0
შემონდ უილიამსი	ბარსელონა	ევროლიგა ესპანეთის ჩემპიონატი	ოლიმპიაკოსი	შ ლეჩე	86:70 ს 96:95	26 40	9 24	1 45	1
დავით იმნაძე	პრეძევი	სლოვაკეთის ჩემპიონატი	ლუჩენეცი	შ	65:80	24	9	7	0
ზვიად ბაბიაშვილი	გალა	ფიბას თასი	ურალ გრეიტი	შ	71:83	6	2	3	0
დავით ბარბაქაძე	გალა	ფიბას თასი	ურალ გრეიტი	შ	71:83	არ უთამაშია			
ზაზა ფაჩულია	ატლანტა	NBA რეგულარული ჩემპ.	გოლდენ სტეიტი კლიპერსი ჰორტლენდი	ს ს ს	97:122 17:92 93:94	33 33 32	13 13 12	12 7 6	2 1 1
ნიკა ცქიტიშვილი	მინესოტა	NBA რეგულარული ჩემპ.	პორტლენდი სიეტლი კლიპერსი კლიპერსი	შ ს ს შ	90:86 102:107 99:100 93:78	არ უთამაშია არ უთამაშია არ უთამაშია არ უთამაშია			

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ; ნ — ნეიტრალური

ვიტალი კლიჩკოს კარიერის დასასრული

ეტყობა, წერტილი დაესვა WBC-ის ვერსიით მძიმეწონოსან მსოფლიოს ჩემპიონ ვიტალი კლიჩკოს სახელთან დაკავშირებულ აჟიოტაჟს, რაც მისი ტრავმით იყო გამოწვეული. უკრაინელმა გადაწყვიტა... კარიერის დასრულება, რადგან ტრავმისგან განკურნებას თავი ჯერჯერობით ვერ დააღწია. 34 წლის მოკრივემ ხელთამანების ლურსმანზე ჩამოკიდება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც მუხლის ოპერაცია გაიკეთა. ეს კი, გუშინწინ მოხდა

„ეს ამბავი, რომ კლიჩკო ტრავმას იგონებდა, ან თუ მართლა დაშავდა, ის სწორედ ამ დარტყმების მერე უნდა დაშავებულიყო. მუხლის ასეთი ტრავმა სხვა ვითარებაში წარმოუდგენელიაო.

„ასეთი გადაწყვეტილების მიღება ჩემთვის ძალზე მძიმე იყო, მაგრამ მინდა, რომ კრივს ჩემპიონად გამოვეთხოვო. ჩემი წასვლა ჩემს მემკვიდრეებს შესაძლებლობათა კარს გაუხსნის. მე უფრო ხშირად ტრავმები მაჩერებდა და არა მოწინააღმდეგენი“, — თქვა ვიტალი კლიჩკომ.

არადა, კლიჩკოს ჩემპიონის ტიტულის დასაცავად სავალდებულო ბრძოლა 12 ნოემბერს ლას ვეგასში ჰასიმ რაჰმანის წინააღმდეგ ჰქონდა დაგეგმილი, მაგრამ უკრაინელი იძულებული გახდა, ეს შეხვედრა გადაედო, რაკიღა 3 ნოემბერს მუხლი დაუშავდა, თუმცა მისი ტრავმისა რაჰმანსა და მის ბანაკს სულაც არ სჯეროდა. ისინი კლიჩკოს მშიშარას უწოდებდნენ.

მეტიც, რაჰმანის მენეჯერმა სტივენ ეკსონმა ისიც კი თქვა, მე მაქვს უტყუარი ცნობები, რომ კლიჩკო ძალზე ცუდ ფორმაშია და რაჰმანთან ბრძოლის წინ მზადებისას ხუთშაბათს იგი ორჯერ აღმოჩნდა იატაკზე გაშხლართული, ჯერ თავის პარტნიორ ტრევის უოკერის, შემდეგ კი რაფაელ ბატლერის დარტყმების მერე.

ნელსონის თქმით, კლიჩკო ტრავმას იგონებდა, ან თუ მართლა დაშავდა, ის სწორედ ამ დარტყმების მერე უნდა დაშავებულიყო. მუხლის ასეთი ტრავმა სხვა ვითარებაში წარმოუდგენელიაო.

თავად კლიჩკომ ინტერვიუში ეს ამბავი ასე ახსნა:

„ის მოხდა, ნებისმიერი სპორტსმენი მსგავსი შემთხვევისგან დაუზღვეველი რომაა. მე სპარინგის მერვე რაუნდში მარჯვენა მუხლი დამიშავდა. როგორც გულმოდგინე სამედიცინო შემოწმებამ გვიჩვენა, ეს იყო მარჯვენა მუხლის მყესების მენისკის ტრავმა“.

ის, რომ კლიჩკო მართლაც მძიმედ დაშავდა, ეს დაადასტურა სამედიცინო გამოკვლევამ, რასაც სასწრაფო ქირურგიული ოპერაცია მოჰყვა კალიფორნიაში, რაც სპორტული მედიცინის კლინიკის დირექტორმა დოქტორმა ნილ ტრეივჯმა ჩაატარა.

თავის პროფესიულ კარიერაში, რომელიც 1996 წლიდან დაიწყო, უფროსმა კლიჩკომ WBO-ს და WBC-ს ვერსიებით მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ამასთან, კლიჩკო ფლობდა ევროპის ჩემპიონის ტიტულს. და კიდევ, ვიტალი კლიჩკომ ექვსჯერ დაიმსახურა კიკბოქსინგში მსოფლიოს ჩემპიონის ოქრო, მათ შორის, ოთხჯერ პროფესიონალთა შორის.

ამ დროის განმავლობაში 37 საკრივო ბრძოლა გამართა, რომელთაგან 35 გამარჯვება მოიპოვა, მათ შორის 34 შემთხვევაში ნოკაუტით.

კლიჩკომ თავისი მარცხიდან პირველი 2000 წელს განიცადა. მაშინ ნაკლებად ცნობილ კრის ბერთან შეხვედრაში ბრძოლა მეათე რაუნდში შეწყდა. მეორე წარუმატებლობა 2003 წელს იგემა, როცა კლიჩკო ბრიტანელ ლენოქს ლუისის წინააღმდეგ WBC და IBO ვერსიებით მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძოდა.

იმ ბრძოლამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, მაგრამ ბევრი სპეციალისტი ახლაც დარწმუნებულია, რომ რეფერი სწორად მოიქცა, როცა კლიჩკოს მარცხენა თვალთან ვაჩენილი დიდი ჭრილობის გამო ბრძოლა შეაჩერა.

ამის მერე კლიჩკომ კიდევ სამი ბრძოლა გამართა და სამივეში გაიმარჯვა: ჯერ კირკ ჯონსონთან, რომელიც ბრძოლა მეორე რაუნდში შეწყდა, მერე WBC-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონის ვაკანტური ტიტულის მოსაპოვებლად დაამარცხა სამხრეთ აფრიკელი კორი სანდერსი, რითაც თავისი ძმის ძლევისთვის სამაგიერო გადაუხადა მოწინააღმდეგეს.

კლიჩკო უფროსმა თავისი ტიტული შარშან 11 დეკემბერს დაიცვა ლას ვეგასში, სადაც უძლიერესი დარტყმებით ძირს დასცა დენი უილიამსი, ვინც მანამდე მაიკ ტაისონს დამაჯერებლად სძლია.

ბოლო წლებში ვიტალი კლიჩკოთან სდევდა გაუთავებელი ტრავმები. ხან მხარის ტკივილი აწუხებდა, ხან ზურგისა. ამიტომაც გულშემატკივრები მოუთმენლად ელოდნენ რაჰმანთან მის შეხვედრას, მაგრამ ამჯერად კლიჩკოს მუხლის ტრავმამ არ მისცა ბრძოლის საშუალება და წერტილი დაუსვა მის პროფესიულ კარიერას.

ამის მერე ბევრს ბჭობდნენ ბრძოლის გადადების ხანგრძლივობის თაობაზე, მაგრამ ეს საჭირო აღარ გახდა.

ახლა რაჰმანის პრომოუთერ დონ კინგს შეუძლია მშვიდად ამოისუნთქოს — მისი მოკრივე უბრძოლველად კიდევ ერთხელ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, მაგრამ დიდი ხნით? კითხულობენ სპეციალისტები.

ავთანდილ ბუკვიშელი

ჩაშლა აღარ იქნება

სამხრეთამერიკელები უკვე ჩამოვიდნენ

ბაფრი კეთილაძის ფოტო

ურუგვაის ნაკრები, რომელმაც საქართველომდე ვერ ჩამოაღწია, შაბათს პორტუგალიაში იბურთავებს, ბორჯღალოსნები კი იმავე დღეს ვაკეში, „ლოკომოტივის“ სტადიონზე ჩილიელებს დაუპირისპირდებიან. წესით, ქართველ და პორტუგალიელ მორაგბეებს გასულ უქმეებზეც პარალელურად უნდა ეთამაშათ, თუმც ცნობილ მიზეზთა გამო მხოლოდ ერთი მატჩი ჩატარდა. „ლობოსებმა“ ჩვენი მომავალი მეტოქე, ჩილის ნაკრები მიიღეს და 31:18 დაამარცხეს.

ჯერ უცნობია, როდისთვის გადაიდება წინა შაბათის ჩაშლილი თბილისური რაგბი ან საერთოდ ჩატარდება თუ არა. ჩილის ნაკრებთან მატჩი კი აუცილებლად გაიმართება — სამხრეთამერიკელები უკვე ჩამოსულები არიან.

სამომავალშაბათო მეტოქეები წავკისში დაბანაკდნენ, ჩვენი ნაკრები კი კვლავაც სასტუმრო „სიმპათიაშია“. მწვრთნელთა ტრიომ უკვე ის ხუთი მორაგბე გამოაცხადა, საურუგვაე შეკრების შემდეგ საფრანგეთში წასულებს რომ ჩაენაცვლება. ზირაქაშვილის, შველიძის, მაგრაქველიძის, ხინჩაგაშვილისა და ირაკლი გიორგაძის ნაცვლად საჩილედ დავით კაჭარავა, გიორგი ჟღენტი, გიორგი სანიკიძე, ელიზბარ ყუფარაძე და დავით გასვიანი ემზადებიან.

საქართველოს ნაკრები

შერკინება: *გიორგი კუთარაშვილი, დავით დადუნაშვილი, გიორგი ჟღენტი, გიორგი სანიკიძე, ელიზბარ ყუფარაძე, დავით გასვიანი, მამუკა გორგოძე, ზვიად მათიაშვილი, გიორგი ნემსაძე, რატი ურუშაძე, რევაზ ბელქანია, შალვა სუთიაშვილი, ბესიკ უდესიანი.*

უკანა ხაზი: *ოთარ ბარკალაია, ბესიკ ხამაშურიძე, დავით ჟამუტაშვილი, ლაშა ფირფილაშვილი, ირაკლი მაჩხანელი, ბობა კვინიხიძე, მერაბ კვირიკაშვილი, გიორგი შკინინი, ირაკლი ჩხიკვაძე, დავით კაჭარავა, ბიძინა სამხარაძე.*

რეგულარული ჩემპიონატი

AFP მინესოტიდან

ფინიჭელი მაიკ ლიკლარკისა და მინესოტელი ალეჭს ანრის ორთაბრძოლა

როგორც იქნა

8 ნოემბერი

ნეშვილი 3:2 ედმონტონი

0:0 0:1 3:1

0:1 სტოლი (30), 1:1 ერატი (44), 2:1 ტიმონენი (59), 2:2 რ. სმიტი (60), 3:2 ჰარტნელი (60)

„კინალამ გულის შეტევა დამემართა“ — შვებით ამოისუნთქა ნამატჩევს „ნეშვილის“ თავკაცმა ბარი ტროცმა. იუმორით ცნობილი თავკაცის ასეთი რეაქცია ბოლო წუთზე განვითარებულმა მოვლენებმა გამოიწვია. ჯერ იყო და ედმონტონელმა რაიან სმიტმა გაათანაბრა ანგარიში და ამით გაუხეთქა გული ტროცს.

საქმე ისაა, რომ მანამდე ოთხ თამაშში „მტაცებლებმა“ სამი ოვერტაიმი წააგეს და გუნდს ამჯერადაც დაემუქრა დამატებითი დროის კოშმარის გაგრძელების საშიშროება. თუმც 22 წამში მწვრთნელი სკოტ ჰარტნელმა მოიყვანა ხასიათზე. მასპინძელთა ფორვარდმა ხელით გააჩერა შაიბა, დაადო ყინულზე და ელვისებურად დაარტყა. მართალია, გოლმა ედმონტონელთა პროტესტი გამოიწვია, ვინაიდან ჰარტნელმა საკმაოდ დიდხანს გაჩერა შაიბა ხელში, მაგრამ მსაჯებმა ვიდეოჩანაწერის ნახვა არ ისურვეს და „ნეშვილმაც“ ბოლო 5 მატჩში პირველად იმარჯვა.

მინესოტა 2:4 ფინიძსი

0:3 1:0 1:1

0:1 ლეიუ (2), 0:2 ლეკლერკი (12), 0:3 კომრი (14), 1:3 ჩერნკვისტი (25), 2:3 კუბა (44), 2:4 კომრი (58)

კერტის ჯოზეფს მოეწონა ნჰლ-ის რეკორდების წიგნში გამოჩენა. სულ ცოტა ხნის წინ მან კარიერაში მე-400 მოგება იზეიმა, მაგრამ მიღწეულზე დიდხანს არ გაჩერდა და. სამშაბათს უკვე 403-ე გამარჯვება აღნიშნა, რითაც ლეგენდარულ გრანტ ფიურს გაუტოლდა საუკეთესო გოლკიპერთა სიის მე-8 აღგილზე.

კოლორადო 5:2 სან ხოსე

2:0 1:2 2:0

1:0 ლაილსი (2), 2:0 ტანგეი (3), 2:1 პრაისინგი (23), 3:1 სვატოში (29), 3:2 ჩიჩუ (36), 4:2 ტარჯონი (50), 5:2 ტანგეი (53)

დღის კიდევ ერთი იუბილარი კოლორადოელი პიერ ტარჯონია. ისედაც პლეიმეიკერული თვისებებით ცნობილ ვეტერანს ბოლო ჩანებში უფრო გაუჭირდა გოლების გატანა, ამიტომაც მატჩის შემდეგ ჟურნალისტთა შეკითხვებს ერთადერთი სიტყვით უპასუხა: „FINALLY“ (როგორც იქნა). „ეველანშის“ ფორვარდმა კარიერაში მე-500 შაიბა მიითვალა, რაც მანამდე მხოლოდ 33 ჰოკეისტმა მოახერხა.

ტორონტო 6:4 ვაშინგტონი

0:2 2:0 4:2

0:1 კლაიმერი (11), 0:2 ოვეჩკინი (16), 1:2 კოლგერი (29), 2:2 ონილი (31), 3:2 პონიკაროვსკი (46), 4:2 მაკიბი (47), 5:2 სუნდინი (48), 5:3 ოვეჩკინი (50), 6:3 კოლაჯაკოვი (55), 6:4 პეტინგერი (56)

„ვაშინგტონს“ ალექსანდრ ოვეჩკინის ზედიზედ მეორე (სულ მეხუთე(!) დუბლმაც კი ვერ უშველა.

ნიუ ჯერსი 1:4 აილენდერსი

0:2 1:1 0:1

0:1 ვეინშანდლი (3), 0:2 ბეიტსი (12), 1:2 მალახოვი (28), 1:3 კვაშა (38), 1:4 ბლეიკი (59)

მონრეალი 3:2 ტამპა

1:1 0:1 2:0

0:1 ტყილორი (4), 1:1 მარკოვი (11), 1:2 პროსპალი (34), 2:2 რივე (47), 3:2 ზედნიკი (50)

ფილადელფია 4:3 ბოსტონი

1:0 0:1 2:2 1:0

1:0 კნუბლი (20), 1:1 მაკიკერნი (39), 1:2 სამსონოვი (41), 1:3 ტორნტონი (56)№ 2:3 განიე (57), 3:3 პიტკანენი (60), 4:3 პიტკანენი (62)

სამგელ ღარიბიანი

ბუბკა გაგვიდოქტორდა



სერგეი ბუბკა

უკრაინელი მძლეოსანი, მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი და 35 გზის რეკორდსმენი ჭოკით ხტომაში სერგეი ბუბკა გახდა ბულგარეთის ეროვნული სპორტული აკადემიის საპატიო დოქტორი.

შესაბამისი დიპლომის გადაცემის ცერემონია გაიმართა სოფიაში, როცა იქ მძლეოსანთა მწვრთნელების ევროპული კონგრესი გაიხსნა.

მთავარი დასკვნა, რომელიც ბუბკამ პირად მაგალითზე გამოიტანა, ეს იყო ადამიანის შესაძლებლობათა ზღვარის განსაზღვრა, უფრო სწორედ განუსაზღვრელობა.

„ადამიანის შესაძლებლობათა ზღვარი არ არსებობს, მაგრამ დასახულ მიზანს რომ მიაღწიო, მუდმივად უნდა ებრძოლ საკუთარ თავს, საკუთარ სისუსტეებსა და უარყოფით თვისებებს“.

სერგეი ბუბკა ახლა გახლავთ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, ამავე ორგანიზაციის სპორტსმენთა კომისიის თავმჯდომარე და უკრაინის ოლიმპიური კომიტეტის მეთაური.

იანუკოვიჩი ჩემპიონთა ქომაგობამ გადაარჩინა

უკრაინის ოლიმპიურმა ჩემპიონებმა ქვეყნის ოფიციალური ხელისუფლების დევნისა და შევიწროებისგან დაიცვეს ყოფილი პრემიერმინისტრი, უკრაინის პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ექსპრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი. ამის თაობაზე განაცხადა ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა თავისუფალ ჭიდაობაში, უკრაინელმა ელბრუს თედეევმა.

„ჩვენ სხვაგვარად არც შეგვეძლო, — ამბობს თედეევი. — ვიქტორ იანუკოვიჩმა, როცა უკრაინის ოლიმპიურ კომიტეტს მეთაურობდა, სპორტის განვითარებისთვის უდიდესი სამუშაო გასწია. ოლიმპიური ნაკრების კანდიდატთათვის ყოველთვიური სტიპენდია მან 72-დან 9 ათას (9 და 1500 დოლარი) გრივნამდე გაზარდა. ყოველივე ამის შედეგად უკრაინის დელეგაციამ ათენის ოლიმპიურ თამაშებზე არაოფიციალურ ჩათვლაში მე-12 ადგილი დაიკავა. მაშინ, როცა სიდნეიში მხოლოდ 21-ე იყო. ჩვენი ჩარევის შემდეგ ვიქტორ იანუკოვიჩის შევიწროებას წერტილი დაესვა. ჩვენ შეგვხვდა უკრაინის სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი იური პავლენკო და უკრაინის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი სერგეი ბუბკა, ხოლო უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ ხელი მოაწერა „განკარგულებას ოლიმპიურ სახეობებში უკრაინის სპორტსმენთა და მწვრთნელთა მხარდასაჭერად“. აგრეთვე მან დაამტკიცა ახალი მექანიზმი „სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ განკარგულების შესასრულებლად თანხების გამოყოფის თაობაზე“.

აქვე იმასაც ვიტყვით, რომ უკრაინის ხუთმა ოლიმპიელმა, რომლებმაც ოქროს მედლები ათენში მოიპოვეს, ექსპრემიერმინისტრ იანუკოვიჩის დევნის საწინააღმდეგოდ პროტესტის ნიშნად უარი თქვა პრემიალური 100-100 ათასი დოლარის მიღებაზე. მათ ეს უარი დაუკავშირეს შარშანდელ ზაფხულს იანუკოვიჩის პროკურატურაში გამოძახებას.

უკრაინელ სპორტსმენებს მხარი დაუჭირეს აგრეთვე რუსეთის ოლიმპიურმა ჩემპიონებმაც.

პირსის შურისძიება კლაისტერსსა და შარაპოვას სარტყელები უჭერენ

მასტერსის თასი

ლოს ანჯელესი. აშშ. მაგარსაფარი საპრიზო 3 000 000 $

ლოს ანჯელესში მასტერსის თასის გათამაშება დაიწყო. ასპარეზობა პირველივე დღიდან უაღრესად საინტერესოდ და თანაბრად მიმდინარეობს. ამაზე ისიც მიუთითებს, რომ სამიდან ორ მატჩში გამარჯვებულის ვინაობის გამოვლენას სამი სეტი დასჭირდა. გარდა ამისა, ტურნირზე ერთი მოულოდნელი შედეგი უკვე დაფიქსირდა.

შავი ჯგუფი

მარი პირსი (საფრანგეთი) — კიმ კლაისტერსი (ბელგია) — 6:1 4:6 7:6

შავ ჯგუფში გუშინ მხოლოდ ერთი შეხვედრა ჩატარდა, თუმც სწორედ ამ თამაშით გაიხსნა ტურნირი. ეს ორი თვის წინანდელი აშშ-ს ღია პირველობის ფინალის ერთგვარი გამეორება იყო — ბევრი სპეციალისტის მიერ ტურნირის მოგების მთავარი პრეტენდენტი, ბელგიელი კიმ კლაისტერსი 30 წლის ვეტერან ფრანგ მარი პირსის წინააღმდეგ.

ფრანგმა მშვენივრად ითამაშა, შეძლო შეცდომების მინიმუმამდე დაყვანა და გარკვეულწილად რევანშიც აიღო ორი თვის წინ წაგებული ფინალისთვის.

რაც შეეხება კლაისტერსს, რომელსაც საკმაოდ კარგი შანსი აქვს რეიტინგში პირველი ადგილის დასაკავებლად, თავის პირველ მატჩში ნამდვილად ვერ აჩვენა საჩემპიონო თამაში. ამ შეხვედრაში მან ძალიან ბევრი უნებლიე (31) და აქამდე მისთვის მეტად უჩვეულო ორმაგი (11) შეცდომა დაუშვა. გარდა ამისა, ბელგიელმა ვერაფრით ვერ შეძლო თავისი მთავარი იარაღის — მარჯვენა ფორჰენდის დარეგულირება, რაც მას მთლიანობაში მატჩის წაგებად დაუჯდა.

კლაისტერსმა განსაკუთრებით ცუდად პირველი სეტი ჩაატარა, რომელშიც მხოლოდ ერთი გეიმის აღება შეძლო. თუმცა ბელგიელმა მეორეში გამოასწორა თამაში და მოიგო კიდეც. შემდეგ მესამეც კარგად დაიწყო და ფრანგს ბრეიკი პირველივე გეიმში გაუკეთა, მაგრამ ამის შემდეგ კვლავ უმატა შეცდომებს.

საბოლოოდ ყველაფერი ტაი-ბრეიკზე გადაწყდა, სადაც პირსი ვითარების ბატონ-პატრონი იყო და შეძლო მატჩის გამარჯვებამდე მიყვანა.

„პირველი სეტი ჩემთვის მოულოდნელად ადვილად მოვიგე... აი, მესამე კი ნამდვილი ბრძოლა იყო და ამიტომ ვცდილობდი, ყველა ბურთზე ბოლომდე მეთამაშა, რამაც გაამართლა კიდეც“ — თქვა პირსმა თამაშის შემდეგ.

კლაისტერსმა კი წაგება იმით ახსნა, რომ ვერ შეეგუა დროის სარტყელების ცვლილებას:

„თამაშის დროს მეტად ინერტული ვიყავი... ერთადერთი, რისი სურვილიც მქონდა, სასტუმროში წასვლა და დაწოლა იყო“.

კლაისტერსმა ახლა ნახევარფინალში გასასვლელად აუცილებლად უნდა დაამარცხოს ელენა დემენტიევა და ამელი მორესმო.

მწვანე ჯგუფი

ლინდსი დევენპორტი (აშშ) — ნადია პეტროვა (რუსეთი) — 6:2 7:5; მარია შარაპოვა (რუსეთი) — პატი შნიდერი (შვეიცარია) — 6:1 3:6 6:3

მწვანე ჯგუფში გუშინ ორივე შეხვედრა გაიმართა და ორივე მოლოდინისამებრ დამთავრდა. პირველი გამარჯვებები მოიპოვეს ამ ჯგუფის უპირობო ფავორიტებად მიჩნეულმა ლინდსი დევენპორტმა და მარია შარაპოვამ.

მარია შარაპოვა

AFP ლოს ანჯელესიდან

მარი პირსი

განსაკუთრებით იოლად იმარჯვა დევენპორტმა, რომელმაც არანაირი შანსი არ დაუტოვა ასეთ ტურნირზე პირველად მოხვედრილ რუს ნადია პეტროვას. ამერიკელმა ამ თამაშით კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მშვენიერ ფორმაშია და ლოს ანჯელესში მისი ერთადერთი მიზანი ტურნირის მოგებაა.

დევენპორტმა თავიდანვე კარგად დაიწყო და ყველანაირად ცდილობდა რუსი თავიდანვე ზეწოლის ქვეშ ჰყოლოდა. გარდა ამისა, პირველ სეტში კარგად გამოჩნდა, რომ გამოუცდელი პეტროვა ზედმეტად ნერვიულობდა და ამიტომ ბევრ შეცდომასაც უშვებდა. ყოველივე ამის გამო ამერიკელმა იოლად იმარჯვა პირველ სეტში.

პეტროვას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მეორე სეტში მან შეძლო თამაშის გამოსწორება და დევენპორტს ბევრი თავსატეხიც გაუჩინა. თუმც რუსს ეს მხოლოდ თავის მოწოდებაზე გამოსდიოდა, ხოლო მიღებაზე კვლავ ხელმოცარული რჩებოდა.

ასეთმა თამაშმა ჩოგბურთელები ტაი-ბრეიკამდე მიიყვანა, სადაც დევენპორტმა იოლად იმარჯვა — 7:1 და ტურნირზე პირველი მოგება ჩაიწერა.

დევენპორტისგან განსხვავებით, სამი სეტის ჩატარება მოუხდა მარია შარაპოვას. არადა, პირველი სეტის შემდეგ, რომელშიც მარიამ პირწმინდად დაჩაგრა თავის შვეიცარელი მოწინააღმდეგე პატი შნიდერი, ცოტა ვინმე თუ წარმოიდგენდა, რომ საქმე გადამწყვეტ სეტამდე მივიდოდა.

მეორე სეტში შარაპოვამ უკლო თამაშის ტემპს, შნიდერმა კი მაქსიმალურად აკურატულად ითამაშა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს სეტი შნიდერმა კი არ მოიგო, არამედ რუსმა წააგო. შვეიცარელი არ ცდილობდა, რაიმე კომბინაცია გაეთამაშებინა ან შეეტია, ის უბრალოდ ბურთს მეტოქის ნახევარზე აგდებდა, შარაპოვა კი უამრავ შეცდომას უშვებდა და გამარჯვებულის ვინაობის გასარკვევად მესამე სეტიც ამიტომ გახდა საჭირო.

უნდა ითქვას, რომ შარაპოვამ შეძლო კონცენტრირება და კვლავ ისე ათამაშდა, როგორც მატჩის დასაწყისში. რუსმა მესამე სეტში მეტოქის პირველივე მოწოდებაზე გაიკეთა ბრეიკი და ეს უპირატესობა სეტის და შესაბამისად თამაშის ბოლომდე შეინარჩუნა.

„თამაშის გარკვეულ მომენტში ძალიან უხერხულად ვიყავი და რამდენიმე უაზრო შეცდომაც დავუშვი... აბსოლუტურად დაუძლურებული ვარ (იგივე მიზეზით, რაზეც კლაისტერსმა დაჩივლა), — განაცხადა შარაპოვამ.

***

ამასობაში კი ცნობილი გახდა, რომ მასტერსის თასზე მამაკაცებს შორის, რომელიც შანხაიში მომავალ კვირას იწყება, არ იასპარეზებენ ამერიკელი ენდი როდიკი და ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტი.

როდიკმა უარი განაცხადა ზურგის ტრავმის გამო, რომელიც მან წინა კვირას, პარიზის მასტერსის მეოთხედფინალში მიიღო.

ჰიუიტს, მართალია, არანაირი ტრავმა რა აწუხებს, მაგრამ ისიც იძულებული გახდა, უარი ეთქვა ჩინეთში გამგზავრებაზე.

საქმე ისაა, რომ ლეიტონი და მისი მეუღლე, ავსტრალიელი შსახიობი ბეკი კარტრაიტი პირველი შვილის დაბადებას ელოდებიან. ეს უახლოეს ორ კვირაში უნდა მოხდეს და ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ჰიუიტი ასეთ მომენტში მეუღლის გვერდით დარჩენას ამჯობინებს.

სამაგიეროდ, ძალიან გაუმართლა ორ არგენტინელს — დავიდ ნალბანდიანსა და გასტონ გაუდიოს, რომლებიც წლის შემაჯამებელ ტურნიზე როდიკისა და ჰიუიტის მაგივრად იასპარეზებენ.

ქახა ლომაშვილი

შტეფის ვეება მემორიალური დაფა

შტეფი გრაფი და ანდრე აგასი

ცნობილ გერმანელ ჩოგბურთელ შტეფი გრაფის პატივსაცემად მის მშობლიურ ქალაქ ბრიულში მემორიალური დაფა გახსნეს, რომელზეც ვარსკვლავის სახელია ამოტვიფრული. მემორიალურ დაფაზე, რომლის სიმაღლე 3,4, ხოლო სიგანე 1,8 მეტრია, მოთავსებულია უჟანგავი ფოლადისგან დამზადებული ჩოგბურთის ბურთი და ჩოგანი.

უნდა ითქვას, რომ შტეფი გრაფის სახელს, რომელიც 1988 წლიდან ბრიულის საპატიო მოქალაქეა, უკვე ატარებს ქალაქის ერთ-ერთი ულამაზესი პარკი.

გრაფი, რომელიც ამჟამად ქმართან, ასევე სახელგანთქმულ ჩოგბურთელ ანდრე აგასისთან და ორ შვილთან ერთად ამერიკაში ცხოვრობს, რეგულარულად სტუმრობს გერმანიის სამხრეთში მდებარე მშობლიურ ქალაქს.

შეგახსენებთ, რომ შტეფი გრაფმა ჩოგბურთს თავი 1999 წელს დაანება, მანამდე კი „დიდი მუზარადის“ 22 ტურნირის მოგება მოახერხა და საკმარისი ქონება დააგროვა საიმისოდ, რომ დაისვენოს და შვილების გვერდით ყოფნით დატკბეს.

ქახა ლომაშვილი

მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი

ბეერ-შევა. ისრაელი. 31 რქტომბერი - 11 ნოემბერი

VI ტური

ჩინეთი (ქალები)	1:3	სომხეთი
კუბა	2:2	უკრაინა
ჩინეთი (ვაჟები)	3,5:0,5	აშშ
ისრაელი	1,5:2,5	საქართველო

ბორის გელფანდი	0,5:0,5	ზურაბ აზმაიფარაშვილი
ბაადურ ჯობავა	0,5:0,5	ილია სმირინი
ემილ სუტოვსკი	0:1	ლევან ფანცულაია
მიხეილ მჭედლიშვილი	0,5:0,5	ბორის ავრუხი

რუსეთმა დაისვენა





ლევან ფანცულაიამ ემილ სუტოვსკის მოუგო

დიდმა დათვმა დაიჭირა, საქართველომ გაილვიძა

საქართველოს ნაკრებმა ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო და ცხრილში ერთი საფეხურით აინაცვლა. ჩვენებმა მასპინძელი ისრაელის ნაკრები დაამარცხეს 2,5:1,5 და ბრინჯაოს მედლის მოპოვების შანსი გაუჩნდათ.

ჩვენს მოჭადრაკეებს გამარჯვება ახალგაზრდა ლევან ფანცულაიამ მოუტანა. იგი მესამე დაფაზე ცნობილ დიდოსტატ ემილ სუტოვსკის შავი ფიგურებით დაუპირისპირდა.

პარტია ებრაელმა კლასიკური e4-ით დაიწყო, ცენტრში პაიკები ერთ ზოლად განალაგა და მსუბუქი ფიგურები გამოიყვანა. ფანცულაიამ მე-14 სვლაზე როქი გააკეთა, კუ იერიშზე გაუშვა და გაუცვალა. სუტოვსკიმ ქართველი ხელმწიფის სიმაგრეს შეუტია, მხედარი პაიკში შესწირა და შავებს წყობა მიუნგრია. შავი მეფის დასტყვევებლად თეთრი ლაზიერი გაეშურა, თან გზაში პაიკი მოკლა და მეტოქეთა სარდალს სახიფათოდ დაემუქრა. ფანცულაიამ მთელი მძიმე ტექნიკა მეფის დასაცავად გაუშვა, მტერი ახლოს არ მიაკარა და მე-40 სვლაზე ბრძოლა თავის სასარგებლოდ დაასრულა.

ზურაბ აზმაიფარაშვილი პირველ დაფაზე ბორის გელფანდს დაეჯახა და მე-18 სვლაზე ყაიმით დაუსრულა შეხვედრა.

სომხეთის ეროვნულმა ნაკრებმა აუტსაიდერ ჩინელ ქალთა ნაკრებს მოუგო 3:1 და მესამე ადგილზე აღზევდა.

ლიდერი კვლავ დიდი ჩინეთია. მეშვიდე ტურში მათი მთავარი კონკურენტი რუსეთი ისვენებდა, აზიელებმაც ისარგებლეს, მეტოქე აშშ-ის ნაკრები 3,5:0,5 გაანადგურეს და მთავარ მდევართან სხვაობა 4 ქულამდე გაზარდეს.

ლაშა გეგეჭკორი



ფანცულაიამ სუტოვსკი მე-40 სვლაზე დაამარცხა

1. ჩინეთი (ვაჟები)	19,5	ქულა
2. რუსეთი	15,5	
3. სომხეთი	14	
4. უკრაინა	12,5	
5. აშშ	12	
6. საქართველო	12	
7. ისრაელი	11,5	
8. კუბა	9	
9. ჩინეთი (ქალები)	6	

ოლიმპიზმი

რა დროს გაფიცვაა

ტურინის ზამთრის ოლიმპიური თამაშების პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას, რომელიც ითვალისწინებს გაისად გასამართი თეთრი ოლიმპიადის დღეებში გაფიცვათა არდაუშვებლობას.

ეს დეკლარაცია აგვაცილებს იმგვარ ინციდენტებს, რომლებიც წარმოიშვა შარშან სათხილამურო სპორტში მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში, როცა სატელევიზიო პერსონალის გაფიცვის გამო ჩემპიონატის დაწყება ერთი დღით გადაიდო.

დახლზეა ოლიმპიური სიმბოლო

ჩინეთმა ოფიციალურად დართო ნება პეკინის ოლიმპიური თამაშების სიმბოლიკის გამოყენების ლიცენზიების გაყიდვას.

მეწარმეები ლიცენზიის ყიდვით შეძლებენ თავიანთი პროდუქციის ოლიმპიური სიმბოლიკით დამშვენებას. ამ გზით შეგროვებული თანხა მომავალი ოლიმპიური თამაშების დაფინანსებას მოხმარდება.

თანხის შეგროვებასთან ერთად ეს სალიცენზიო პროგრამა მოემსახურება ოლიმპიური ღირებულებებისა და იდეალების პროპაგანდის საქმეს. ამას გარდა, ეს გახდება მაღალხარისხიანი პროდუქციის რეკლამირების ერთ-ერთი საშუალება, რამდენადაც ამგვარი ლიცენზიის ყიდვის უფლება მხოლოდ იმ მეწარმეებს ექნებათ, რომლებიც ფლობენ თავიანთ პროდუქციაზე სახელმწიფო სერთიფიკატს.

გაიძრე, ზინა!

გერმანელმა კურნიკოვამ პლეიბოიც მოსინჯა

„მძლეოსნობის ანა კურნიკოვად“ მონათლულმა გერმანელმა სპრინტერმა ზინა შილკემ ჟურნალ „პლეიბოისთვისაც“ გაიხადა. 24 წლის მორბენალი უკვე დიდი ხანია, გულშემატკივრებს მხოლოდ არენისმიღმა ცხოვრებით ასეირებს, სპორტში კი მისგან დიდ წარმატებებს თითქმის არავინ ელის.

თავად ზინას რუს ჩოგბურთელთან შედარება თურმე ძლიერ აღიზიანებს, რასაც ხმამაღლაც ამბობს, მაგრამ სინამდვილეში ფოტოგრაფების და მამაკაცების გადარევას თამამად ეშურება — „პლეიბოიმდე“ თითქმის ყველა ინტიმური გამოცემისთვის გაიხადა.

შილკეს ბოლო გახდას მისი მძლეოსანი ბოიფრენდი, თარჯმორბენალი ტომასიც მშვიდად შეხვდა და ჟურნალისტებს გულახდილად უთხრა, პირადი კოლექციისთვის „პლეიბოის“ რამდენიმე ნომერს შეკიძენო.



სახალისო ჭადრაკი

სალაღობო ამბები მეთერთმეტე ჩემპიონის ცხოვრებიდან

რობერტ ფიშერი ჭადრაკის სამყაროში ყველაზე ამოუცნობი და სკანდალური მსოფლიოს ჩემპიონია. ის 28 წლისა გახდა ჩემპიონი და მას მერე, სამ ათეულ წელიწადს მეტია, დაფას მხოლოდ ერთხელ მიუჯდა



გავრცელებული მოსაზრების თანახმად, რობერტ ფიშერს ამერიკის ხელისუფლებასთან პრობლემები 1992 წელს დაეწყო, როცა იუგოსლავიის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების მიუხედავად, ის ბალკანებზე ჩავიდა და ჩერნიგორიულ კუნძულ სან სტეფანზე ბორის სპასკის გაეჯიბრა.

ეს ოფიციალური ვერსიაა, თუმცა არსებობს სხვა ვერსიაც, რომლის თანახმადაც, გამოძიების ფედერალური ბიურო ფიშერის პერსონით გაცილებით ადრე, 1958 წელს დაინტერესდა. მაშინ მოსკოვში საჭადრაკო ოლიმპიადა ჩატარდა, რომლის მონაწილე 15 წლის ბობი ფიშერიც გახლდათ. ამერიკელები ფიქრობდნენ, რომ საბჭოთა უშიშროება ჭაბუკი ამერიკელის გადაბირებას ეცდებოდა.

ვერსია, ერთი შეხედვით, ძნელად დასაჯერებელია — რისთვის სჭირდებოდა სუკ-ს 15 წლის ბიჭი?

ფიქრობენ, რომ საიდუმლო ფიშერის ოჯახში იმალება და ფედერალური ბიურო ფიშერებით ჯერ კიდევ ბობის დაბადებამდე დაინტერესდა.

ფიშერის დედა, გერმანელი ებრაელი, ნაცისტებს ფაქტობრივად ჰიტლერის ხელისუფლებაში მისვლისთანავე გაექცა და თავი მოსკოვს შეაფარა. 1940 წელს მან მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა და ცოლად გაყვა გერმანელ ბიოფიზიკოს ფიშერს. ქორწინებიდან მცირე ხანში ოჯახი ძალიან იოლად გადაბარგდა საცხოვრებლად ამერიკაში და საბჭოთა ხელისუფლებისგან წინააღმდეგობა არ შეხვედრია. აი, სწორედ მაშინ დაიწყო ფედერალურმა ბიურომ მოსკოვიდან ჩამოსულ საეჭვო ოჯახზე თვალთვალი იმ მოტივით, რომ ფიშერები, შესაძლოა, სუკ-ის აგენტები ყოფილიყვნენ.

საქმეს უშუალოდ არ ეხება, მაგრამ ამბობენ, ფიშერებს სხვა ოჯახური საიდუმლოც აქვთო — გერმანელი ბიოფიზიკოსი ფიშერი სულაც არ არის ბობის ნამდვილი მამაო. და ვისზე მიუთითებენ? უნგრელ ემიგრანტ ებრაელ ფიზიკოს ნოიმანზე, ნობელის პრემიის ლაურეატზე.

ნოიმანი ფიშერების ოჯახის ახლობელი იყო და მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა იმ ამერიკელ მეცნიერებთან, რომლებიც ატომური ბომბის შექმნაზე მუშაობდნენ.

ფიშერების ოჯახზე ოვალოვალი კი მხოლოდ 1997 წელს, რობერტ ფიშერის დედის გარდაცვალების მერე შეწყდა.

თავში ნახსენებ იუგოსლავიაში გამართულ მატჩს მივუბრუნდეთ, ოღონდ არაპოლიტიკური კუთხით.

მოგეხსენებათ, მსოფლიოს ჩემპიონობის მოპოვების მერე ფიშერმა ჭადრაკის თამაშზე უარი განაცხადა და მთელი ოცი წელიწადი დაფას აღარ მიჯდომია. უცებ კი, ეს მატჩი...

ყველაფერი 1990 წელს დაიწყო, როცა 18 წლის უნგრელმა მოჭადრაკე გოგომ ზიტა რიჩანიმ თავის თაყვანისცემის ობიექტს რობერტ ფიშერს წერილი გაუგზავნა, ოქვენს პარტიებს ვარჩევდი და აღფრთოვანებული ვარო. ფიშერმა წერილი მიიღო და პასუხის გაცემისთვის მხოლოდ ერთი წლის მერე მოიცალა. რამდენიმე წერილის გაცვლის მერე ზიტა ფიშერთან ამერიკაში ჩავიდა, სულ მალე კი მათ შორის რომანი გაიბა.

ფიშერისგან განსხვავებით, ზიტა პრაქტიკული ჭკუის ქალი გახლდათ და სიყვარულთან ერთად მდიდრულად ცხოვრებაზეც არ იყო მწყრალად. თავისთავად, დიდი ფულის შოვნა ძნელიც არ იყო — ვინ არ გადაუხდიდა ფიშერს უზარმაზარ ჰონორარს დაფასთან დაჯდომაში?! მთავარი პრობლემა აქ, ცხადია, ფიშერის მოჩანგვლა იყო, მაგრამ ზიტა შეუჩნდა და...

— ბობი, ძვირფასო, რა მოხდება, ეთამაშე ვინმეს, ხომ ხედავ, რამოდენა ხარჯები გვაქვს — მალიმალ უმეორებდა ზიტა ფიშერს და ბოლოს ფიშერი მოტყდა.

1992 წელს ჩატარებულ იმ მატჩში, ბორის სპასკისთან, რობერტ ფიშერმა 3 მილიონი დოლარი მიიღო...

თუმცა ეს არ არის ამ ისტორიის დასასრული — ისტორია იმით დასრულდა, რომ ზიტამ ფიშერი მიატოვა.

არტემ გეშაქოვი

AFP ტურინიდან

ტურინი ელის

ტურინი მზადაა ზამთრის ოლიმპიადისთვის. ამ ახალსა და დიდებულ დარბაზში ჰოკეის ტურნირი გაიმართება. „პალასპორტ ოლიმპიკო“ — ასე ჰქვია ნაგებობას.

ტრაპის გამოხედვა

დაბერდა დიადი ტრაპი, დაბერდა... თვალი გაურბის და თამაშსაც ალარ უყურებს. „შტუტგარტის“ მწვრთნელად მყოფი ჯოვანი ტრაპატონი რეპორტიორებმა თვალგაშტერებული ჩაიჭირეს „ნიურნბერგთან“ თამაშის დროს.

ჟაკ ვებრის გზაზე

„ჟაკ ვებრის“ ტრანსატლანტიკური რეგატა დაწყებულია. ფრანგული ლე ავრიდან ბრაზილიურ სალვადორ დე ბაიამდე ოკეანე ძევს. ფრანგულ-ირლანდიური „ფონსია“ ამ საქმეშია ჩაბმული.



AFP ლე ავრიდან

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიბრიანული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი ყეფილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge